კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა

სახელმძღვანელო

EUROPEAN Higher Education Area

bologna process

European Commission

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა

სახელმძღვანელო

ECTS Users' Guide

მთარგმნელი: ირინე დარჩია

რედაქტორი: თამარ ლორთქიფანიძე

ტექნიკური რედაქტორი: ნინო ურუშაძე

წინამდებარე პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ. პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორთა აზრს და კომისია არ არის პასუხისმგებელი მის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 3

1. ECTS-ის ძირითადი მახასიათებლები 5

2. ECTS-ი და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე (EHEA) 8

3. ECTS-ი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგისთვის 10

4. ECTS-ი მობილობისა და კრედიტების აღიარებისთვის 23

5. ECTS და „ სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში'' 35

6. ECTS-ი და ხარისხის უზრუნველყოფა 41

7. ECTS-ი და დამხმარე დოკუმენტები 45

განსაკუთრებული მადლობა 53

დანართი 1 54

დანართი 2 68

დანართი 3 70

დანართი 4 75

დანართი 5 85

შესავალი

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (EHEA) ინსტრუმენტია სწავლების პროცესის გამჭვირვალობის და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების უზრუნველსაყოფად.

ECTS-ი შემოღებულ იქნა 1989 წელს, ERASMUS პროგრამის ფარგლებში, რათა სტუდენტებს უცხოეთში სწავლის დროს დაგროვილი კრედიტების ტრანსფერი მოეხდინათ თავიანთი საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ კრედიტებად, თავიანთ მშობლიურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაბრუნების შემდეგ. შემდგომ წლებში ECTS-ი გამოყენებულ იქნა არა მხოლოდ კრედიტების ტრანსფერისთვის, რომლებიც ეფუძნებოდა სტუდენტის სამუშაო დატვირთვასა და მიღწეულ სწავლის შედეგებს, არამედ ამ კრედიტების საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაგროვებისთვის. ECTS გვეხმარება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, შესაძლებელს ხდის სწავლის სხვადასხვა ტიპის ინტეგრირებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პროცესში, ხელს უწყობს სტუდენტების მობილობას კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდის აღიარების გამარტივების გზით. ECTS შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამისთვის, სწავლების ფორმატის მიუხედევად (აუდიტორიაში, სამუშაო ადგილზე, დისტანციური სწავლება), ასევე ნებისმიერი სტატუსის სტუდენტისთვის (დასწრებული, დაუსწრებელი), ნებისმიერი საგანმანათლებლო კონტექსტისთვის (ფორმალური, არაფორმალური სწავლება[1]).

ECTS სახელმძღვანელო გვთავაზობს ECTS-ის გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპებს და მათ სასარგებლო დამხმარე დოკუმენტებთან აკავშირებს. ბუქარესტში, ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების მოთხოვნით (ბუქარესტის კომუნიკე, 2012 წ.), ECTS-ს სახელმძღვანელო განახლებულ იქნა, რათა გააძლიეროს "სწავლის შედეგების არსებითი იმპლემენტაცია" უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში. სახელმძღვანელო მინისტრების მიზნების შესაბამისად, „მოუწოდებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ დაუკავშირონ კრედიტები როგორც სწავლის შედეგებს, ისე სტუდენტის დატვირთვას

[1] Non-formal and informal education - არაფორმალური განათლება და თვითგანათლება (თვითგანათლება-სწავლა, რომელიც მუშაობასთან, საოჯახო ან თავისუფალი დროის საქმიანობასთან დაკავშირებული ყოველდღიური აქტივობების შედეგია, რომელიც არაა ორგანიზებული ან სტრუქტურირებული მიზნების, ხანგრძლივობის ან სწავლის ხელშეწყობის გაგებით. სწავლის მსურველის პერსპექტივიდან ის შეიძლება არ იყოს წინასწარ განზრახული). ამ ტერმინებს ქართული კანონდებლობა ერთ ტერმინად ,,არაფორმალური განათლება'' იცნობს, შესაბამისად ამ სახელმძღვანელოშიც ორივე ტერმინი არაფორმალურ განათლების ტერმინით არის მოხსენიებული.

და სწავლის შედეგების მიღწევა გაითვალისწინონ შეფასების პროცესში“. სახელმძღვანელოს განახლებული ვერსია ეფუძნება ბოლო წლებში შესრულებულ დიდძალ სამუშაოს, როგორც ბოლონიის პროცესის ფარგლებში, ისე ცალკეულ ქვეყნებში, რათა დაეხაროს აკადემიურ საზოგადოებას და უმაღლესი განათლების სფეროს სხვა დაინტერესებულ მხარეებს განახორციელონ ის ცვლილებები, რომლებსაც მხარს უჭერს ბოლონიის პროცესი.

განახლებული სახელმძღვანელო ითვალისწინებს ბოლონიის პროცესის ისეთ ფაქტებს, როგორიცაა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის მნიშვნელობის ზრდა, მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომიდან სტუდენტზე ორიენტირებულ უმაღლეს განათლებაზე გადასვლა, სწავლის შედეგების მზარდი გამოყენება, სწავლა-სწავლების ახალი ფორმების განვითარება. სახელმძღვანელოში საგანგებო ადგილი ეთმობა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ კვალიფიკაციების ჩარჩოების გამოყენების გამოცდილებას და ECTS-ის პრინციპების გამოყენებას აკადემიური პრაქტიკის პროცესში.

სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტებისა და სხვა მოსწავლეებისათვის[2], უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ისევე როგორც დამსაქმებელთა, განათლების მიმწოდებელთა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. აღქმის გასამარტივებლად ტერმინი „სტუდენტი“ გამოიყენება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერი მოსწავლის აღსანიშნად (იგულისხმება დასწრებული და დაუსწრებელი, დისტანციური, აუდიტორიაში თუ სამუშაო ადგილზე სწავლება, კვალიფიკაციის მოპოვება თუ ცალკეული საგანმანათლებლო ერთეულის ან კურსის გავლა).

განახლებული სახელმძღვანელო შემუშავებულ იქნა სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნების და დაინტერესებულ მხარეთა ასოციაციების მიერ წარდგენილი პრაქტიკოსები. სახელმძღვანელო საკონსულტაციოდ წარედგინა დაინტერესებულ მხარეთა ასოციაციებს, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ექსპერტებს, ბოლონიის მხარდამჭერ ჯგუფს. ევროპის კომისია კოორდინირებას უწევდა შემუშავებისა და კონსულტაციის პროცესს. დაბოლოს, სახელმძღვანელო მიღებულ იქნა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების მიერ 2015 წლის მაისში, ერევნის მინისტერიალზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული დოკუმენტი არის ECTS-ის გამოყენების ოფიციალური სახელმძღვანელო.

---

[2] Learner - მოსწავლე (პირი, რომელიც სწავლობს) - პირი, რომელიც ჩართულია სასწავლო პროცესში (ფორმალური, არაფორმალური სწავლა). სტუდენტები არიან ფორმალურ უმაღლეს განათლებაში ჩართული პირები.

1. ECTS-ის ძირითადი მახასიათებლები

ECTS-ი არის სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესების გამჭვირვალობის პრინციპზე დაფუძნებული, კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის, სტუდენტზე ორიენტირებული სისტემა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას, აგრეთვე, სტუდენტების მობილობას სასწავლო პროცესში მიღწევების, კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდების აღიარებით.

ECTS კრედიტები გამოხატავს სწავლის მოცულობას, განსაზღვრული სწავლის შედეგების და მათთან დაკავშირებული დატვირთვის საფუძველზე. 60 ECTS შეესაბამება ერთი აკადემიური წლის ან მისი ეკვივალენტი დროის მონაკვეთის შესაბამის სწავლის შედეგებს და მათთან დაკავშირებულ დატვირთვას, რაც ჩვეულებრივ შედგება რამდენიმე საგანმანათლებლო კომპონენტისგან, რომელთაც კრედიტები ენიჭებათ (სწავლის შედეგების და დატვირთვის საფუძველზე). ECTS ჩვეულებრივ გამოიხატება მთელი რიცხვებით.

სწავლის შედეგები არის განაცხადი, რა იცის, რა ესმის და რისი გაკეთება შეუძლია ინდივიდს სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგების მიღწევა უნდა შეფასდეს პროცედურით, რომელიც უნდა დაეფუძნოს მკაფიო და გამჭვირვალე კრიტერიუმებს. სწავლის შედეგები მიემართება როგორც ცალკეულ საგანმანათლებლო კომპონენტებს, ისე მთელ საგანმანათლებლო პროგრამებს. სწავლის შედეგები აგრეთვე გამოიყენება ევროპულ და ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოებში ინდივიდის კვალიფიკაციის დონის აღსაწერად.

დატვირთვა არის იმ დროის შეფასება, რომელიც ინდივიდს ესაჭიროება ისეთი სასწავლო აქტივობების შესასრულებლად, როგორიცაა ლექციები, სემინარები, პროექტები, პრაქტიკული სამუშაო, პრაქტიკა[3] და დამოუკიდებლად სწავლა, რაც საჭიროა დადგენილი სწავლის შედეგების მისაღწევად ფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში. აკადემიური წლის სრული დატვირთვა შეესაბამება 60 ECTS კრედიტს, რაც ხშირად ფორმალიზებულია ეროვნული კანონმდებლობებით.უმეტეს შემთხვევებში, დატვირთვა მერყეობს 1 500-დან 1 800 საათამდე აკადემიური წლის განმავლობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი კრედიტი შეესაბამება მუშაობის 25-30 საათს. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მხოლოდ ტიპური დატვირთვაა და სწავლის შედეგების მისაღწევად სხვადასხვა სტუდენტისთვის საჭირო რეალური დრო განსხვავებულია.

ECTS კრედიტების განაწილება არის კრედიტების გარკვეული მოცულობის მიკუთვნება კვალიფიკაციის, აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამების ან ცალკეული საგანმანათლებლო კომპონენტებისთვის. კრედიტები ენიჭება კვალიფიკაციებს ან საგანმანათლებლო პროგრამებს - ეროვნული

[3]აღნიშნული სახელმძღვანელოში სინონიმებად გამოყენებულია შემდეგი ტერმინები: “work placement”, “placement”, “training period”, “internship”, “traineeship”.

კანონმდებლობის ან პრაქტიკის შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში - და შეესაბამება ეროვნულ და/ან ევროპულ კვალიფიკაციების ჩარჩოს. კრედიტები ენიჭება ისეთ საგანმანათლებლო კომპონენტებს, როგორიცაა სასწავლო კურსი, დისერტაცია, სწავლა სამუშაო ადგილას და საწარმოო პრაქტიკა. სრული აკადემიური წლის განმავლობაში ხდება 60 კრედიტის მინიჭება იმ სავარაუდო დატვირთვის შესაბამისად, რაც საჭიროა თითოეული კომპონენტისთვის დადგენილი სწავლის შედეგების მისაღწევად.

ECTS კრედიტების მინიჭება არის სტუდენტებისა და სხვა მოსწავლეებისათვის კვალიფიკაციის და/ან მისი კომპონენტებისთვის განსაზღვრული კრედიტების ფორმალურად მიკუთვნების აქტი, თუ მათ მიაღწიეს დადგენილ სწავლის შედეგებს. ეროვნულმა კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს, რომელ დაწესებულებებს აქვთ ECTS კრედიტების მინიჭების უფლება. კრედიტები ენიჭება ცალკეულ სტუდენტებს სასწავლო აქტივობების დასრულების და სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც დასტურდება შესაბამისი შეფასებით. თუ სტუდენტებს და სხვა მოსწავლეებს მიღწეული აქვთ სწავლის შედეგები სხვა ფორმალურ ან არაფორმალურ სასწავლო კონტექსტსა და დროის მონაკვეთში, კრედიტები შეიძლება მინიჭებული იყოს შეფასების შედეგად და შესაბამისი სწავლის შედეგების აღიარების შედეგად.

ECTS კრედიტების დაგროვება არის ფორმალურ და სხვა არაფორმალურ კონტექსტში, საგანმანათლებლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის საფუძველზე მოპოვებული კრედიტების დაგროვების პროცესი.სტუდენტს[4] შეუძლია კრედიტების დაგროვება შემდეგი მიზნით:

- აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი დაწესებულების მოთხოვნის შესაბამისად აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად;
- პირადი მიღწევების დოკუმენტირებისთვის „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის“ მიზნებისთვის.

კრედიტების ტრანსფერი არის ერთ კონტექსტში (საგანმანათლებლო პროგრამა, დაწესებულება) მიღებული კრედიტების სხვა ფორმალურ კონტექსტში აღიარების პროცესი კვალიფიკაციის მოპოვების მიზნით. ერთი პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების ტრანსფერი და დაგროვება შესაძლებელია იმავე ან სხვა

[4] სამუშაო ჯგუფებსა და დაინტერესებულ მხარეებთან ერთად სიღრმისეულად იქნა განხილული, უნდა მოვიხსენიოთ თუ არა „სტუდენტები“ და ,,მოსწავლეები“. მხარეები მიესალმებიან უმაღლესი საგანმანთლბელო დაწესებულებების მიერ მოქნილი მიდგომების გამოყენებას, ასევე აღიარებულია, რომ უმეტესობა უმაღლესი განათლების სისტემებისა შემოიფარგლება მკაცრად განსაზრული სტუდენტთა რაოდენობისათვის ფორმალური პროგრამების შეთავაზებით. შესაბამისად ნაადრევად ჩაითვალა ამ სახელმძღვანელოში მხოლოდ ,,მოსწავლის'' ტერმინის გამოყენება, ტერმინი ,,სტუდენტი'' გამოიყენება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა მოსწავლის აღსანიშნად (სრული ან ნაწილობრივი დატვირთვის, დისტანციურ სწავლების, კამპუსსა თუ სამუშაო ადგილზე სწავლების, ასევე კვალიფიკაციის მომპოვებლის თუ ცალკე მდგომი საგანამანთლებლო ერთეულების ან კურსების მონაწილე).

დაწესებულების მიერ განხორციელებული სხვა პროგრამის ფარგლებში. კრედიტის ტრანსფერი წარმატებული სასწავლო მობილობის გასაღებია. დაწესებულებებს, ფაკულტეტებს, დეპარტამენტებს შეიძლება ჰქონდეთ შეთანხმებები კრედიტების ტრანსფერისა და ავტომატური აღიარების უზრუნველსაყოფად.

ECTS-სდოკუმენტაცია: დამხმარე დოკუმენტები ხელს უწყობს ECTS კრედიტების გამოყენებას და ხარისხის განვითარებას (კურსის კატალოგი, სასწავლო ხელშეკრულება, ნიშნების ფურცელი, პრაქტიკის სერტიფიკატი). ECTS აგრეთვე ხელს უწყობს სხვა ისეთი დოკუმენტების გამჭვირვალობას, როგორიცაა დიპლომის დანართი.

2. ECTS-ი და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე (EHEA)

1999 წელს ბოლონიის დეკლარაციაში ECTS კრედიტები მოხსენიებული იყო იმ ერთ-ერთ ძირითად მიზნად, რომელიც ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნებს უნდა მიეღწიათ. ბოლონიის პროცესის ეგიდით განხორციელებული რეფორმების ფარგლებში ECTS-ი იქცა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (EHEA)ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის უმეტეს ქვეყნებში ECTS-ი მიღებულია კრედიტების ეროვნულ სისტემად. მსოფლიოს სხვა რეგიონებში ის სულ უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება დაწესებულებების მიერ, ან წარმატებით თანაარსებობს კრედიტების ადგილობრივ სისტემებთან,[5] რადგან ემყარება შედარებად კრიტერიუმებს და, ამდენად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს განათლების გლობალური განზომილების ზრდის პროცესში.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ფარგლებში, ECTS ზრდის საგანმანათლებლო პროცესის გამჭვირვალობას, აადვილებს მის გაგებას და, ამგვარად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცვლილებისა და მოდერნიზაციის სტიმულირების პროცესში, ვინაიდან ECTS-ის დანერგვა ხელს უწყობს გადასვლას მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომიდან სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომაზე. ეს უკანასკნელი მოიხსენიება ტერმინით „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება“ (SLO) და აღიარებულია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპად.

კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში სწავლის შედეგებისა და დატვირთვის გამოყენებით, ECTS სტუდენტს საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში განათავსებს. გარდა ამისა, ECTS კრედიტების გამოყენება ამარტივებს მოქნილი სასწავლო პროცესის არსებობას და მის დოკუმენტირებას. ამგვარად, სტუდენტებს ანიჭებს მეტ დამოუკიდებლობას და ზრდის მათ პასუხისმგებლობას.

შედეგებზე დაფუძნებული მიდგომის წყალობით, ECTS კრედიტების გამოყენება ემსახურება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შემდეგ მიზნებს:

- ხელს უწყობს წინმსწრები განათლებისა და გამოცდილების აღიარებას, სწავლის დასრულების მაჩვენებლების ზრდას და „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის“ პროცესში უფრო ფართო ჩართულობას;
- უფრო მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან საგანმანათლებლო პროგრამებსა და საზოგადოებრივ მოთხოვნებს, აძლიერებს ყველა დაინტერესებული მხარის ურთიერთთანამშრომლობას, დამსაქმებლისა და ფართო საზოგადოების ჩათვლით;

[5]ECTS-ის გამოყენებამ ხელი შეუწყო კრედიტების სისტემების ჩამოყალიბებას სხვა რეგიონებში, მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ლათინურ ამერიკასა და სულ ახლახან აფრიკაში.

- აღიარებითა და კრედიტების ტრანსფერით ხელს უწყობს მობილობას ერთი დაწესებულების თუ ქვეყნის ფარგლებში, ერთი დაწესებულებიდან და ქვეყნიდან მეორეში, სხვადასხვა საგანმანათლებლო სექტორებსა და სასწავლო კონტექსტებს შორის (მაგალითად, ფორმალური, არაფორმალური, სწავლება და პრაქტიკა).

ეროვნულ კანონმდებლობაში ECTS-ს გამოყენება შეიძლება იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ან კვალიფიკაციების სააკრედიტაციო მოთხოვნა.

NOTA BENE

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება (SCL) არის სტუდენტებისა და სხვა მიმსწავლელებისათვის საგანმანათლებლო გარემოს ხარისხიზრიანი ტრანსფორმაციის პროცესი, რაც მიზნად ისახავს მათი დამოუკიდებლობის გაზრდას და კრიტიკული უნარების განვითარებას შედეგებზე დაფუძნებული მიდგომით.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების (SCL) კონცეფცია შეიძლება აღვწეროთ შემდეგი ელემენტების გამოყენებით:

- უფრო აქტიური, ვიდრე პასიური სწავლება;
- აქცენტი კრიტიკულ და ანალიტიკურ სწავლასა და გაზრდებაზე;
- სტუდენტის გაზრდილი პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება;
- სტუდენტის გაზრდილი დამოუკიდებლობა;
- ურთიერთამოქმედი მიდგომა სწავლა-სწავლების მიმართ როგორც სტუდენტის, ისე მასწავლებლის მხრიდან.

3. ECTS-ი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგისთვის

აღნიშნული თავი ეთმობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ან სხვა მომწოდებლების მიერ. ECTS კრედიტების გამოყენება ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას როგორც ინსტრუმენტი, რომელიც ზრდის გამჭვირვალობას და გვთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას კურიკულუმის შემუშავებისა და მისი განვითარების პროცესში.

ინსტიტუციური თვალსაზრისით, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ნიშნავს კურიკულუმისა და მისი კომპონენტების დაგეგმვას კრედიტების გამოყენებით, სწავლის შედეგებისა და მათთან დაკავშირებული დატვირთვის, სასწავლო აქტივობებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების პროცესის/კრიტერიუმების აღნიშვნას. კრედიტების ინსტიტუციური ჩარჩო უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა პროგრამების საჭიროებებს და ხელს უნდა უწყობდეს ინტერ- და მულტი-დისციპლინურ მიდგომებს.

ECTS-ის გამოყენება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოითხოვს როგორც ინსტიტუციურ რეგულაციებზე დაფუძნებულ კრედიტების ინსტიტუციურ ჩარჩოს, ისე ამ სისტემის სიღრმისეულ გააზრებას აკადემიური პერსონალის მიერ. ზოგიერთი დაწესებულება აღწევს ამ მიზანს პერსონალის მუდმივი გადამზადებით. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით გუნდური გადაწყვეტილების მიღება ხელს უწყობს პროგრამის თანმიმდევრულობას.

NOTA BENE

დამოუკიდებელმა მოსწავლემ კვალიფიკაციის მოსაპოვებლად საჭირო კრედიტები შეიძლება დააგროვოს სწავლის მრავალფეროვანი გზების გამოყენებით. მოსწავლემ საჭირო ცოდნა, უნარები და კომპეტენცია შეიძლება შეიძინოს ფორმალურ და არაფორმალურ კონტექსტში; ეს შეიძლება მოხდეს ჩინასწარ განზრახულად, ან დროთა განმავლობაში სხვადასხვა სასწავლო აქტივობების შედეგად. მოსწავლემ საგანმანათლებლო კომპონენტები შეიძლება შეარჩიოს ისე, რომ იგი არ გეგმავდეს ფორმალური კვალიფიკაციის მოპოვებას. ECTS-ი ხელს უწყობს ამ პროცესს, რაც აღწერილია მე-5 თავში „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის“ შესახებ.

ითვლება, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესს ხელს უწყობს შემდეგი საფეხურები:

3.1 საგანმანათლებლო პროგრამის კონტექსტი

როდესაც ახალი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდება, პირველად, ჩვეულებრივ, მიიღება გადაწყვეტილება მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ, რაც განისაზღვრება შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობით და არსებული კვალიფიკაციების ჩარჩოებით (ევროპული, ეროვნული, სექტორული, ინსტიტუციური).

ნათელია, რომ სწავლის ყველა შედეგი ვერ იქნება ერთი და იმავე საფეხურის. აქედან გამომდინარე, კრედიტების სისტემის სრულყოფილი დანერგვა მოითხოვს საფეხურის აღმწერების არსებობას.

NOTA BENE

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო (QF-EHEA) შემდეგნაირად შეესაბამება ევროკავშირის ევროპულ კვალიფიკაციების ჩარჩოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის (EQF-LLL):

- მოკლე ციკლის კვალიფიკაცია - მე-5 საფეხური
- პირველი ციკლის კვალიფიკაცია - მე-6 საფეხური
- მეორე ციკლის კვალიფიკაცია - მე-7 საფეხური
- მესამე ციკლის კვალიფიკაცია - მე-8 საფეხური

ყოვლისმომცველი ჩარჩოების საფეხურების გარდა, ეროვნული საგანმანათლებლო სისტემები შეიძლება შეიცავდეს სხვა საფეხურებსაც, ვინაიდან ხდება ეროვნული ჩარჩოების თვით-სერტიფიცირება და რეფერენსირება ზემოთ აღნიშნულ ჩარჩოებთან მიმართებაში. მაგალითად, ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო შედგება 8 საფეხურისგან, მაშინ როცა ეროვნულ ჩარჩოებში საფეხურების რაოდენობა მერყეობს 7-დან 12-მდე. მეორეს მხრივ, ის ფაქტი, რომ უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო მოიცავს მოკლე ციკლს, არ ავალდებულებს სხვადასხვა ქვეყანებს, ჩართოს ამგვარი კვალიფიკაცია თავის კვალიფიკაციების ჩარჩოში, თუმცა ცალსახად უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო მოიცავს მოკლე ციკლის კვალიფიკაციებს.

NOTA BENE

არსებობს ორი ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო: უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო (QF-EHEA) და ევროკავშირის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის (EQF-LLL). ორივე ჩარჩო კვალიფიკაციების (მაგალითად, ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი) აღსაწერად იყენებს სწავლის შედეგებს და უმაღლეს განათლებასთან მიმართებაში ორივე ჩარჩო ერთმანეთთან თავსებადია (QA-EHEA-ს 1, 2 და 3 ციკლები შეესაბამება EQF-LLL-ის 6, 7 და 8 საფეხურებს) და მოიცავს კვალიფიკაციებს ISCED 6, 7, 8 საფეხურებზე.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოში (QF-EHEA) სამი ძირითადი ციკლი, ისევე როგორც მოკლე ციკლი, განისაზღვრება და აღიწერება ე.წ. დუბლინის დესკრიპტორებით, შემდეგი თვალსაზრისით: ცოდნის გამოყენება და გააზრება თუ გაცნობიერება/გაგება, დასკვნის გაკეთება, კომუნიკაციის და სწავლის უნარები. მოკლე, პირველი და მეორე ციკლი ასევე ხასიათდება სხვადასხვა მოცულობის კრედიტებით:

- მოკლე ციკლის კვალიფიკაცია, ჩვეულებრივ, მოიცავს დაახლოებით 120 ECTS კრედიტს.
- პირველი ციკლის კვალიფიკაცია, ჩვეულებრივ, მოიცავს 180 ან 240 ECTS კრედიტს.
- მეორე ციკლის კვალიფიკაცია, ჩვეულებრივ, მოიცავს 90 და 120 კრედიტს და არანაკლებ 60 კრედიტისა.
- ECTS-ის გამოყენება მესამე ციკლის ფარგლებში სხვადასხვაგვარად ხდება.

NOTA BENE

ევროკავშირის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის (EQF-LLL)აღწერს „კვალიფიკაციის საფეხურებს“ (კრედიტების მითითების გარეშე) და გვთავაზობს საერთო ჩარჩოს, რაც დაგვეხმარება სხვადასხვა ეროვნული სისტემების, მათი ჩარჩოებისა და საფეხურების შედარების პროცესში. აღნიშნული ჩარჩო ეფუძნება რვა საფეხურს.

- როგორც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისხელშეწყობის ინსტრუმენტი, ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო მოიცავს ზოგად და ზრდასრულთა განათლებას, პროფესიულ განათლებას და წვრთას, ისევე როგორც უმაღლეს განათლებას.
- რვა საფეხური ფარავს კვალიფიკაციათა მთელ სპექტრს, რომელთა მინიჭება ხდება როგორც სავალდებულო, ისე აკადემიური, პროფესიული განათლების უმაღლესი საფეხურის დასრულების შემდეგ.
- თითოეული საფეხურის მიღწევა პრინციპულად შესაძლებელი უნდა იყოს განათლებისა და პროფესიული კარიერის სხვადასხვა გზით.
- სწავლის შედეგები იყოფა სამ კატეგორიად: ცოდნა, უნარები და კომპეტენცია. ეს ნიშნავს, რომ კვალიფიკაციები - სხვადასხვა კომბინაციით - მოიცავს სწავლის შედეგების ფართო სპექტრს, თეორიული ცოდნის, პრაქტიკული და ტექნიკური უნარების, სოციალური უნარების ჩათვლით, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვებთან ერთად მუშაობის უნარი.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო (QF-EHEA) შემდეგნაირად შეესაბამება ევროკავშირის ევროპულ კვალიფიკაციების ჩარჩოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის (EQF-LLL):

- მოკლე ციკლის კვალიფიკაცია - მე-5 საფეხური
- პირველი ციკლის კვალიფიკაცია - მე-6 საფეხური
- მეორე ციკლის კვალიფიკაცია - მე-7 საფეხური
- მესამე ციკლის კვალიფიკაცია - მე-8 საფეხური

ყოვლისმომცველი ჩარჩოების საფეხურების გარდა, ეროვნული საგანმანათლებლო სისტემები შეიძლება შეიცავდეს სხვა საფეხურებსაც, ვინაიდან ხდება ეროვნული ჩარჩოების თვით-სერტიფიცირება და რეფერენსირება ზემოთ აღნიშნულ ჩარჩოებთან მიმართებაში. მაგალითად, ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო შედგება 8 საფეხურისგან, მაშინ როცა ეროვნულ ჩარჩოებში საფეხურების რაოდენობა მერყეობს 7-დან 12-მდე. მეორეს მხრივ, ის ფაქტი, რომ უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო მოიცავს მოკლე ციკლს, არ ავალდებულებს სხვადასხვა ქვეყანებს, ჩართოს ამგვარი კვალიფიკაცია თავის კვალიფიკაციების ჩარჩოში, თუმცა ცალსახად უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო მოიცავს მოკლე ციკლის კვალიფიკაციებს.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო (QF-EHEA) და ევროკავშირის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის (EQF-LLL) წარმოადგენენ ყოვლისმომცველ ჩარჩოებს, რომლებთან მიმართებითაც უნდა მოხდეს ეროვნული და ინსტიტუციური ჩარჩოებისა და დესკრიპტორების ჩამოყალიბება.

ეროვნული ჩარჩოები, ჩვეულებრივ, უფრო დეტალურია, ვიდრე ყოვლისმომცველი ჩარჩოები და ასახავს უმაღლესი განათლების იმ კვალიფიკაციებს, რომელთა მინიჭებაც ხდება ეროვნულ დონეზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ნერგავს ECTS კრედიტებს, საჭიროებს ინსტიტუციურ ჩარჩოს, რომელიც შესაბამისობაში იქნება ეროვნულ და საერთაშორისო ჩარჩოებთან. ინსტიტუციურ ჩარჩოში მითითებული იქნება, როგორ უნდა იყოს გამოყენებული ECTS კრედიტები. ჩვეულებრივ, ზუსტდება კრედიტების მინიმალური რაოდენობა თითოეული საგანმანათლებლო კომპონენტისთვის, რათა ხელი შევუწყოთ ინტერ- და მულტი- დისციპლინურ საგანმანათლებლო პროგრამებს (რომლებიც შემუშავდება დისციპლინათა ფართო სპექტრის საგანმანათლებლო კომპონენტების კომბინირებით). ევროპული და ეროვნული ჩარჩოები მიუთითებს საბოლოო კვალიფიკაციის საფეხურს.

ამგვარად, დაწესებულებებმა, რომლებიც აღიარებენ, რომ კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო ყველა კრედიტი არ არის ერთი და იმავე დონის (მაგალითად, ბაკალავრიატის საფეხურის მესამე სასწავლო წელს მიღწეული სწავლის შედეგები უფრო რთული უნდა იყოს, ვიდრე - პირველ წელს მიღწეული) შეიძლება შესამისი დესკრიპტორების გამოყენებით განსაზღვრონ კრედიტების შუალედური დონეები, რომლებიც შესაბამის წესებთან ერთად დაეხმარება სტუდენტებს სწავლისა და აკადემიური წინსვლის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამის დეტალურად შემუშავებამდე, გათვალისწინებული უნდა იყოს ინსტიტუციის და დეპარტამენტის მისია, პროფესიული თავისებურებები (რეგულაციები, მოთხოვნები) და აგრეთვე კრედიტების განაწილების ინსტიტუციური ჩარჩო.

ასევე რეკომენდებულია საჭიროებათა ანალიზი და დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, ფართო საზოგადოებასთან) კონსულტაცია, რათა დადგინდეს მათი მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი

პროფილი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის განმასხვავებელ ნიშნებს (Lockhoff et al., 2010). იგი მიგვითითებს სწავლების სფეროს (რაც შეიძლება

გამოხატული იყოს ISCED-F კოდებით), პროგრამის საფეხურს, ძირითად ფოკუსს, პროგრამის დასრულების შემდეგ მოსალოდნელ საკვანძო სწავლის შედეგებს, საგანმანათლებლო გარემოს, სწავლა-სწავლებისა და შეფასების ძირითად აქტივობებს. პროგრამის ეფექტური პროფილი სტუდენტებსა და დაინტერესებულ მხარეებს განუმარტავს პროგრამის ზოგად და დარგობრივ (საგნობრივ) კომპეტენციებსა და დასაქმების პოტენციალს. სწორედ ამიტომ, რეკომენდებულია პროგრამის პროფილი განისაზღვროს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან (როგორიცაა კოლეგები, სოციალური პარტნიორები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სტუდენტების წარმომადგენლები) კონსულტაციით და წარმოდგენილ იყოს მკაფიოდ და გამჭვირვალედ.

საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი უნდა იყოს კურსის კატალოგში მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობის ნაწილი.

NOTA BENE

უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში (EHEA) ტერმინები „სწავლის შედეგები“ და „კომპეტენცია“ გამოიყენება მნიშვნელობის სხვადასხვა ელფერით და გარკვეულწილად განსხვავებულ კონტექსტებში. აღნიშნული სახელმძღვანელოს მიზნებისთვის:

კომპეტენცია ნიშნავს „ცოდნის, უნარებისა და პიროვნული, სოციალური და/ან მეთოდოლოგიური შესაძლებლობების გამოყენების დადასტურებული შესაძლებლობა მუშაობის ან სწავლის პროცესში, პროფესიული და პიროვნული განვითარებისთვის. ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს კონტექსტში, კომპეტენცია აღიწერება პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის თვალსაზრისით“ (რეკომენდაცია 2008/C 111/01). კომპეტენციები შეიძლება იყოს ზოგადი ან დარგობრივი (საგნობრივი). კომპეტენციების განვითარება სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია.

სწავლის შედეგი გამოხატავს სტუდენტის მიერ მიღწეული და შეფასებით დადასტურებული კომპეტენციის დონეს. სწავლის შედეგი არის განაცხადი „რა იცის, რა ესმის და რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ“ (იქვე). სწავლის შედეგების ჩამოყალიბება ხდება აკადემიური პერსონალის მიერ, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. შეფასების გასამარტივებლად ეს განაცხადი (ანუ სწავლის შედეგი. მთარგმნ.) უნდა იყოს გაზომვადი.

3.3 საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ეფუძნება პროგრამის პროფილს და აღწერს, რა იცის, რა ესმის და რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ.

NOTA BENE

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება

საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას. ქვემოთ მოყვანილია სასარგებლო სახელმძღვანელო პრინციპების არასრული ჩამონათვალი.

- სწავლის შედეგები ადეკვატურად უნდა ასახავდეს საგანმანათლებლო პროგრამის კონტექსტს, საფეხურს, მიზანს და შინაარსს.
- სწავლის შედეგების განაცხადი უნდა იყოს ლაკონური და არ უნდა იყოს მეტისმეტად დეტალური.
- სწავლის შედეგები უნდა იყოს თანმიმდევრული.
- სწავლის შედეგები უნდა იყოს მარტივად გასაგები და გაზომვადი იმ შედეგების გათვალისწინებით, რასაც რეალურად მიაღწია სტუდენტმა პროგრამის დასრულების შემდეგ.
- სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელი უნდა იყოს მითითებული დატვირთვით.
- სწავლის შედეგები დაკავშირებული უნდა იყოს შესაბამის სასწავლო აქტივობებთან, შეფასების მეთოდებთან და კრიტერიუმებთან.
- არ არის დადგენილი, რამდენია სწავლის შედეგების იდეალური რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამისთვის. გამოცდილება გვეუბნება, რომ 10-დან 12-მდე სწავლის შედეგი მისაღებია.
- სწავლის შედეგების ჩამოყალიბების საყოველთაოდ აღიარებული მეთოდი ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს:

1. გამოიყენეთ მოქმედებითი გვარის ზმნა იმის გამოსახატად, თუ რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს (მაგალითად, კურსადმთავრებულს შეუძლია „აღწეროს“, „დანერგოს“, „გააკეთოს დასკვნა“, „შეაფასოს“, „დაგეგმოს“).
2. მიუთითეთ თუ რას (საგანს თუ უნარს) ეხება ესა თუ ის შედეგი (მაგალითად, შეუძლია განმარტოს „ჰარდვეარის კომპონენტების ფუნქცია“, ან შეუძლია წარმოადგინოს „მისაღები ოთახის დიზაინი“).
3. მიუთითეთ, თუ რა გზით მოხდება სწავლის შედეგების მიღწევის დემონსტრირება (მაგალითად, „ელექტრო-ინჟინერიაში ყველაზე ხშირად გამოყენებული მასალების მიმოხილვა“, „კვლევის დიზაინის შემუშავება თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით“ და სხვ.).

3.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და კრედიტების განაწილება

საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი იყოფა საგანმანათლებლო კომპონენტებად, რომლებსაც შეიძლება შეადგენდეს ერთი ან რამდენიმე მოდული, სხვა სახის ერთეულები - სასწავლო კურსები, კლინიკაში ან სხვა სამუშაო ადგილასსტაჟირება, კვლევითი პროექტები, ლაბორატორიული სამუშაო და სხვა შესაბამისი სასწავლო აქტივობები. საგანმანათლებლო კომპონენტები შეიძლება ასევე შედგებოდეს სოციალური და საზოგადოებრივი საქმიანობისგან (მაგალითად, ტუტორობა და მენტორობა), თუ იგი შეესაბამება სწავლის შედეგებს და მინიჭებული აქვს კრედიტები.

სწავლის შედეგები, შეფასების შესაბამის სტრატეგიასთან და კრიტერიუმებთან ერთად განსაზღვრული უნდა იყოს თითოეული საგანმანათლებლო კომპონენტისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის და მისი საგანმანათლებლო კომპონენტების სწავლის შედეგები ხშირად წარმოდგენილია რუკაზე, რათა წარმოჩნდეს, როგორ აძლიერებენ ისინი ერთმანეთს. ბევრი დაწესებულება იყენებს მატრიცას, რათა ერთმანეთს შეუსაბამოს აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამის და მისი საგანმანათლებლო კომპონენტების სწავლის შედეგები.

NOTA BENE

საგანმანათლებლო კომპონენტების სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო კომპონენტებისთვის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პრინციპები იგივეა, რაც პროგრამის სწავლის შედეგების შემთხვევაში.

არ არის დადგენილი, რამდენია სწავლის შედეგების იდეალური რაოდენობა საგანმანათლებლო კომპონენტისთვის. რაოდენობა დამოკიდებულია ერთეულის საფეხურსა და ხასიათზე, ისევე როგორც სავარაუდო დატვირთვაზე. თუმცა გამოცდილება გვეუბნება, სწავლის შედეგების მოცულობა შეზღუდული უნდა იყოს და მისაღებია მათი რაოდენობა 6-დან 8-მდე.

დანართში მოცემულია სარეკომენდაციო ლიტერატურის სია, მათ შორის, სწავლის შედეგების სახელმძღვანელოები.

საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილების განსაზღვრის შემდეგ, უნდა ჩამოყალიბდეს საერთო სტრუქტურა და თითოეულ კომპონენტს სწავლის შედეგებისა და შესაბამისი დატვირთვის საფუძველზე უნდა მიენიჭოს შესაბამისი კრედიტები, იმის გათვალისწინებით, რომ 60 კრედიტი შეესაბამება დასწრებული სწავლების სრულ აკადემიურ წელს.

როდესაც საგანმანათლებლო კომპონენტები არის ჩვეული მოცულობის (მაგალითად, 5, 10, 15), მათ ჩვეულებრივ, ეწოდება მოდულები. მოდულებისგან შემდგარ (მოდულარული სტრუქტურის) პროგრამაში, კრედიტების ნახევარი შეიძლება გამოყენებულ იყოს დასაბუთების შემთხვევაში (მაგალითად, სემესტრში 4 მოდულის დროს), მაგრამ სხვა ათწილადებს უნდა მოვერიდოთ. ძალიან სასარგებლო იქნება, თუ დაწესებულება განსაზღვრავს "საბაზო საკრედიტო ვალუტას", ამა თუ იმ კომპონენტისთვის მისანიჭებელი კრედიტების მინიმალურ მოცულობას, რადგან ეს ხელს შეუწყობს თანამშრომლობას სხვადასხვა დისციპლინებსა და ფაკულტეტებს შორის.

კურიკულუმში „მობილობის ფანჯრის" შემოღება ხელს შეუწყობს სასწავლო მობილობას. „მობილობის ფანჯარა" შეიძლება წინასწარ იყოს დადგენილი როგორც შინაარსობრივად, ისე დროის თვალსაზრისით, ან ცალკეული სტუდენტისთვის შეიძლება დაშვებული იყოს მოქნილობა. „მობილობის ფანჯარა", სასურველია, არ იმეორებდეს იმას, რისი სწავლაც სტუდენტს შეუძლია მშობლიურ უნივერსიტეტში, არამედ საშუალებას აძლევდეს სტუდენტს, მიიღოს განსხვავებული საგანმანათლებლო გამოცდილება განსხვავებულ გარემოში.

აკადემიური წინსვლის მოთხოვნები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, თუ სტუდენტი წარმატებით გაივლის პროგრამას და მოიპოვებს მისთვის სასურველ კვალიფიკაციას. აკადემიური წინსვლის მოთხოვნები სხვებთან ერთად შეიძლება მოიცავდეს წინაპირობებს, დამატებით პირობებსა და რეკომენდაციებს. აკადემიური წინსვლის წესები შეიძლება გულისხმობდეს საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე საჭირო კრედიტების რაოდენობას (მაგალითად, ერთი აკადემიური წლიდან/სემესტრიდან მეორეზე გადასასვლელად საჭირო კრედიტების მინიმალური რაოდენობა), ან დეტალურად შეიძლება იყოს გაწერილი რომელი კომპონენტი უნდა/ან შესაძლებელია იქნეს გავლილი, რომელ ეტაპსა და საფეხურზე (მაგალითად, სავალდებულო სასწავლო კურსები, არჩევითი სასწავლო კურსები და წინაპირობები).

დამოუკიდებელმა მოსწავლეებმა, რომლებიც სწავლას განაგრძობენ ფორმალურ პროგრამაზე, უნდა მიიღონ სათანადო კონსულტაცია/რჩევა, რაც დაეხმარება მათ აკადემიური წინსვლის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში. სადაც შესაძლებელია, კონსულტაცია უნდა გულისხმობდეს წინმსწრები განათლებისა და გამოცდილების აღიარებასაც. საგანმანათლებლო პროგრამების მოქნილი სტრუქტურა და სწავლისა და სწავლების ახალი ფორმების გამოყენება სტუდენტებს აძლევს არჩევანის საშუალებას.

3.5 სწავლა, სწავლება და შეფასება

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა განსაზღვრონ სწავლა-სწავლების მიზნები თავიანთ საგანმანათლებლო პროგრამებთან, განხორციელებისა და შეფასების ფორმებთან მიმართებაში.

სწავლის, სწავლებისა და შეფასების ზოგადი პრინციპები

სწავლის, სწავლებისა და შეფასების ზოგადი პრინციპები გათვალისწინებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას, სწავლა-სწავლების ფორმატის მიუხედავად.

ღია დიალოგი და ჩართულობა

სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა მოითხოვს ღია დიალოგსა და უკუკავშირს სტუდენტებს, ლექტორებსა და შესაბამის ადმინისტრაციულ პერსონალს შორის, რაც შესაძლებელს გახდის მათი საჭიროებებისა და მოლოდინის დადგენას და მათ შესახებ დისკუსიას. ყველა დაინტერესებული მხარე ჩართული უნდა იყოს კონსტრუქციულ დისკუსიაში საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებით. სტუდენტების წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამგვარ დისკუსიებში ხმის უფლებით.

გამჭვირვალობა და სანდოობა

კურსის კატალოგი უნდა გვაწვდიდეს სანდო, განახლებულ და ხარისხიან ინფორმაციას აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ისევე როგორც მათი ცალკეული კომპონენტის შესახებ. კურსის კატალოგში წარმოდგენილი უნდა იყოს აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამის ზუსტი აღწერილობა, ისეთი დეტალების ჩათვლით, როგორიცაა სტრუქტურა, მისი შემადგენელი კომპონენტები, სწავლის შედეგები, დატვირთვა, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და წინსვლის წესები.

თანმიმდევრულობა

საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი შემადგენელი კომპონენტების განხორციელებაზეპასუხისმგებელმა აკადემიურმა პერსონალმა უნდა უზრუნველყოს პროგრამაში მითითებული სწავლის შედეგების, სწავლა-სწავლების და შეფასების ფორმების თანმიმდევრულობა. სწავლის შედეგების, სასწავლო აქტივობებისა და შეფასების ეს "კონსტრუქციული შესაბამისობა" (Biggs, 2003) საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ წაყენებული არსებითი მოთხოვნაა.

მოქნილობა

საგანმანათლებლო პროგრამის მოქნილი სტრუქტურა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სტუდენტებს მივცეთ არჩევანის შესაძლებლობა და გავითვალისწინოთ მათი

საჭიროებანი. მაგალითად, მივცეთ სტუდენტს ინდივიდუალური სასწავლო პროცესის წარმართვის და არჩევითი აქტივობების საშუალება. მოქნილობა სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდებში, მოქნილობა ცხრილის შედგენისას და დამოუკიდებლად სწავლის მეტი შესაძლებლობა არსებითია სწავლის სხვადასხვა სტილის გამოყენებისას. ეს უკანასკნელი აფართოებს სასწავლო მასალისა და აქტივობების შესაძლებლობებს, სხვადასხვა პროფილისა და საჭიროებათა მქონე სტუდენტებს უხსნის მრავალ შესაძლებლობას (მაგალითად, პასუხისმგებელ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებს). უმაღლეს განათლებაში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების მიდგომებზე. კრედიტების მინიჭება იმ სწავლის შედეგებისთვის, რომელთა მიღწევაც ხდება ახალი ტექნოლოგიური მეთოდებით, იმავე პრინციპებს ეფუძნება, რა პრინციპითაც ხდება კრედიტების განაწილება ტრადიციული საგანმანათლებლო კომპონენტების სწავლის შედეგებისთვის.

მიღწევათა შესაბამისი შეფასება

კრედიტების მინიჭება ხდება მაშინ, როცა შესაბამისი შეფასება გვიჩვენებს, რომ განსაზღვრული სწავლის შედეგები მიღწეულია შესაბამის სწავლის საფეხურზე. კრედიტების მინიჭება არ ხდება იმ შემთხვევაში თუ სტუდენტმა ვერ მიაღწია სწავლის შედეგებს.სტუდენტს, რომელსაც მიღწეული აქვს სწავლის შედეგები, ენიჭება კრედიტების ის რაოდენობა, რაც მინიჭებული აქვს შესაბამის კომპონენტს.

შეფასების მეთოდები მოიცავს წერით, ზეპირ და პრაქტიკულ ტესტს/გამოცდას, პროექტს და პორტფოლიოს, რაც გამოიყენება სტუდენტის აკადემიური წინსვლის შესაფასებლად და სასწავლო კურსის ან მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის დასადასტურებლად იმ შემთხვევაში, თუ შეფასების კრიტერიუმები აღწერს, რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს სწავლის შედეგების მიღწევის საჩვენებლად.

საგანმანათლებლო კომპონენტისთვის შერჩეული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული კომპონენტისთვის განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და განხორციელებულ სასწავლო აქტივობებს.

NOTA BENE

სადოქტორო განათლება ცვლილებების პროცესშია. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვება შესაძლებელია მრავალფეროვანი გზებით, თუმცა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მაღალი დონის მომზადება ხელს უწყობს მესამე საფეხურის ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციების განვითარებას.ზოგიერთ ქვეყანასა და დაწესებულებაში ECTS-ს კრედიტები სწავლების მესამე საფეხურზეც გამოიყენება. ECTS კრედიტები ენიჭება ან მთელ საგანმანათლებლო პროგრამას, ან მხოლოდ ზოგიერთ/ყველა საგანმანათლებლო კომპონენტს (მაგალითად, სასწავლო კურსებს).

ECTS-ის გამოყენების შემთხვევაში, დოქტორანტურის საფეხურზეც აღნიშნული სახელმძღვანელოს პრინციპები უნდა გავრცელდეს, სადოქტორო განათლების თავისებურებების გათვალისწინებით. შესაბამისი ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს კურსის კატალოგში.

სწავლების მესამე საფეხურზე სწავლის შედეგების განსაზღვრის დროს, დოქტორანტურის სტუდენტებს, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, შესაძლებელია მიეცეთ შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი.ეს უკანასკნელი შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს დასაქმებისთვის, როგორც დასტური სპეციფიკური, მაღალი დონის ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებისა.

3.6 კრედიტების განაწილების მონიტორინგი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი ხორციელდება, რათა დადგინდეს რამდენად მიღწევადი, რეალისტური და ადეკვატურია კრედიტების განაწილება, განსაზღვრული სწავლის შედეგები და სტუდენტის სავარაუდო დატვირთვა. მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვაგვარად - კითხვარების, ფოკუს ჯგუფების, ინტერვიუებისა თუ მიღწეული შედეგების ანალიზით. სტუდენტების, პერსონალის და ცალკეულ შემთხვევებში სხვა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები არსებითად უნდა იყოს გათვალისწინებული კრედიტების განაწილების მონიტორინგისა და რევიზიის დროს იმის მიუხედავად თუ რა მეთოდი იქნება გამოყენებული. დრო, რომელსაც სტუდენტი ანდომებს სწავლის დასრულებას, ისევე როგორც საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათი კომპონენტების შეფასების შედეგები აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იყოს.

მნიშვნელოვანია სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება მონიტორინგისა და მისი განხორციელების გზების შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იყოს ზუსტი

პასუხები და გამოხმაურების მაღალი ხარისხი. თუ მოძიებული ინფორმაცია წარმოაჩენს შეუსაბამობას სტუდენტების უმრავლესობის სავარაუდო და რეალურ დატვირთვას შორის, აუცილებლად უნდა გადაიხედოს სტუდენტის დატვირთვა, კრედიტები, სწავლის შედეგები ან სწავლა-სწავლების მეთოდები. შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი საგანმანათლებლო კომპონენტების მოდიფიკაციაც. ცვლილებები უნდა განხორციელდეს შეძლებისდაგვარად სწრაფად, მაგრამ ისე, რომ პრობლემები არ შეექმნათ აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს. ცვლილებების შესახებ უნდა ეცნობოთ იმ სტუდენტებს, რომლებიც მონიტორინგის პროცესში იღებდნენ მონაწილეობას, რათა ხელი შევუწყოთ დაწესებულებაში მუდმივი, თანამშრომლობითი უკუკავშირის კულტურის ჩამოყალიბებას.

4. ECTS-ი მობილობისა და კრედიტების აღიარებისთვის

სახელმძღვანელოს მოცემული თავი ეთმობა კრედიტების ტრანსფერსა და აღიარებას ზოგადად, როგორც აკადემიური ხარისხის მოპოვების, ისე კრედიტების დაგროვების მიზნით მობილობის დროს.

წარმატებული მობილობა გულისხმობს აკადემიურ აღიარებასა და კრედიტების ტრანსფერს. კრედიტების აღიარება არის პროცესი, რომლის ფარგლებშიც დაწესებულება ადასტურებს, რომ სხვა დაწესებულებაში დაგროვილი კრედიტები და მიღებული შეფასება აკმაყოფილებს მის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ორ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში ამა თუ იმ საგანმანათლებლო კომპონენტის კრედიტები და სწავლის შედეგები ერთნაირი იყოს. ეს კიდევ უფრო ცალსახაა სხვა საგანმანათლებლო კონტექსტიდან კრედიტების აღიარების შემთხვევაში (მაგალითად შეიძლება დავასახელოთ პროფესიული განათლება). აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია განსხვავებულ კონტექსტში მოპოვებული კრედიტების აღიარების მიმართ უფრო თავისუფალი და მოქნილი მიდგომა. რეკომენდებულია კრედიტების აღიარება უფრო სწავლის შედეგების თავსებადობის, ვიდრე მსგავსი შინაარსის საფუძველზე.პრაქტიკულად, აღიარება ნიშნავს შემდეგს: განსხვავებულ კონტექსტში, თავსებადი სწავლის შედეგების მიღწევის შედეგად დაგროვილი კრედიტები ჩაანაცვლებს შესაბამის კრედიტებს მშობლიურ უნივერსიტეტში.

დაწესებულებაში კრედიტების აღიარების პოლიტიკა უნდა იყოს საჯარო და ადვილად ხელმისაწვდომი.

4.1 მობილობა აკადემიური ხარისხის მოპოვების მიზნით

საგანმანათლებლო პროგრამები ერთმანეთისგან განსხვავდება ECTS კრედიტების რაოდენობით (იხ. თავი 3.1, Nota Bene). სწავლის გაგრძელების მიზნით კრედიტების აღიარების დროს, არ განიხილება საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად დაგროვილი ECTS კრედიტების რაოდენობრივი განსხვავება. მთავარია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გათვალისწინება. მაგალითად, მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად, აღიარებული უნდა იყოს ბაკალავრის თავსებადი აკადემიური ხარისხი, იმისდა მიუხედავად, 180 ECTS კრედიტს მოიცავს, თუ 240-ს.

NOTA BENE

ლისაბონის აღიარების კონვენცია

ლისაბონის აღიარების კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წელს, გვთავაზობს სამართლებრივ ჩარჩოს აკადემიური აღიარებისთვის.

კონვენცია ითვალისწინებს შემდეგს:

“36.დაახლოებით თანაბარი საფეხურის კვალიფიკაციებს შორის შეიძლება არსებობდეს განსხვავება შინაარსის, პროფილის, დატვირთვის, ხარისხისა და სწავლის შედეგების თვალსაზრისით. უცხოური კვალიფიკაციების შეფასების დროს, ეს განსხვავებანი განხილული უნდა იყოს მოქნილად, აღიარების მიზნებისთვის მხოლოდ არსებითმა განსხვავებამ (მაგალითად, აკადემიური ან დე ფაქტო პროფესიული აღიარება) უნდა გამოიწვიოს უცხოური კვალიფიკაციის ნაწილობრივი აღიარება ან არაღიარება.

37. უცხოური კვალიფიკაციის აღიარება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ არ აღმოჩნდა არსებითი განსხვავება იმ კვალიფიკაციას, რომლის აღიარებაც მოთხოვნილია და იმ ქვეყნის შესაბამის კვალიფიკაციას შორის, სადაც უნდა მოხდეს აღიარება“.

„ევროპული სივრცის აღიარების სახელმძღვანელო” (EAR Manual, 2012)„არსებითი განსხვავების“ შემდეგ განმარტებას გვთავაზობს:

„იმ ხუთ ძირითად ელემენტზე ფოკუსირებით, რომელთა ერთობლიობაც ქმნის კვალიფიკაციას (საფეხური, დატვირთვა, ხარისხი, პროფილი და სწავლის შედეგები) და არსებითი განსხვავებების გათვალისწინებით, აღიარების კომპეტენტურმა ორგანოებმა შეცვალეს თავიანთი მიდგომები. ისინი აღარ მოითხოვენ, რომ უცხოური კვალიფიკაცია იყოს ზუსტად ისეთი, როგორიც მათ ქვეყანაში გაცემული კვალიფიკაციაა, არამედ აქცენტი კეთდება „აღიარებაზე“ და მნიშვნელობა არ ენიჭება „არა-არსებით“ განსხვავებებს.

NOTA BENE

არსებითია განსხვავება, როდესაც სხვაობა უცხოურ და ეროვნულ კვალიფიკაციას შორის იმდენად დიდია, რომ აპლიკანტი ვერ მიაღწევს წარმატებას მისთვის სასურველ საქმიანობაში, სწავლის გაგრძელება იქნება ეს, კვლევა თუ დასაქმება.

არსებითი განსხვავების მტკიცებულების ტვირთი აწევს მასპინძელი ქვეყნის აღიარების კომპეტენტურ ორგანოს და მას თან ახლავს შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები:

- ნებისმიერი განსხვავება არ უნდა იყოს მიჩნეული არსებით განსხვავებად;
- არსებითი განსხვავების არსებობა არ წარმოშობს უცხოური კვალიფიკაციის არაღიარების ვალდებულებას;
- განსხვავება არსებითი უნდა იყოს კვალიფიკაციის ფუნქციასთან და აღიარების მიზნებთან მიმართებაში.

არსებითი განსხვავებების შესახებ იხ.: E. Stephen Hunt და Sjur Bergan (2010).

NOTA BENE

პროფესიული კვალიფიკაციების აღიარება

ევროპის კავშირის 2013/55/EU დირექტივის საფუძველზე ცვლილებები შევიდა ევროპის კავშირის 2005/36/EC დირექტივაში **პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ.**

აღნიშნული ცვლილება საშუალებას გვაძლევს, ECTS-ი გამოვიყენოთშვიდი „სექტორული“ პროფესიის შემთხვევაში როგორც დამატებითი საშუალება სრული დატვირთვის კურსის ხანგრძლივობის აღსანიშნად. სრული დატვირთვის აკადემიური წლისა და საათების სრული რაოდენობის თვალსაზრისით კურსის ხანგრძლივობის აღნიშვნის ვალდებულება ვრცელდება ექიმებზე, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელ ექთნებს, სტომატოლოგებსა და ბებიაქალებზე. ვეტერინარი ქირურგების, ფარმაცევტების და არქიტექტორების შემთხვევაში ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ სრული დატვირთვის აკადემიურ წლებზე.

ECTS-ისიმპლემენტაცია შესაძლებელია აგრეთვე **ზოგად სისტემაში** გამოყენებული კვალიფიკაციების სპექტრის ,,დ'' და ,,ე'' საფეხურებზე, რაც მოიცავს ევროპის კავშირისა და ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA) ყველა სხვა, კვალიფიკაციაზე დაფუძნებულ რეგულირებად პროფესიას.

ახალმა დირექტივამ გააფართოვა მოქმედების არეალი **პრაქტიკის** აღიარებით, რაც აუცილებელია რეგულირებადი პროფესიით საქმიანობის დასაწყებად. ეს შეიძლება განხორციელდეს და სრული აღიარება შეიძლება მოხდეს ევროკავშირის/ევროპის ეკონომიკური ზონის ნებისმიერ ქვეყანაში, იმისდა მიუხედავად, სად არის კვალიფიკაცია მინიჭებული. 27-ე მუხლის თანახმად, „სხვა წევრ ქვეყანაში მიღებული პროფესიული მომზადების აღიარება უნდა დაეფუძნოს მასპინძელ წევრ ქვეყანაში, პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული სწავლის მიზნებისა და ამოცანების წერილობით აღწერას“. 55ა პუნქტი ავალდებულებს შესაბამისი უფლებამოსილების სახელისუფლებო ორგანოს „გამოაქვეყნოს სხვა წევრ ან მესამე ქვეყანაში მიღებული პროფესიული მომზადების ორგანიზებისა და აღიარების სახელმძღვანელო პრინციპები, საგანგებო ყურადღება დაუთმოს პრაქტიკის ხელმძღვანელის როლს“.

დაბოლოს, ახალ დირექტივას შემოაქვს **მომზადების საერთო ჩარჩო** (common training framework), რომელიც ეფუძნება იმ „ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს“, რომლებიც გამოიყენება წევრი ქვეყნების არანაკლებ ერთი მესამედის განათლებისა და მომზადების სისტემებში. ეს კურიკულუმი შეიძლება შემოთავაზებული იყოს ევროკავშირის ან ეროვნულ დონეზე მოქმედი პროფესიული ორგანიზაციების, ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელისუფლებო ორგანოების მიერ. უნდა მოხდეს მათი რეფერენსირება ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიმართ და მათ თავისუფლად შეუძლიათ ECTS კრედიტების გამოყენება.

4.2 მობილობა კრედიტების დაგროვების მიზნით

ECTS-ი შეიქმნა დაწესებულებებს შორის მოკლევადიანი მობილობის ხელშეწყობის მიზნით (“credit mobility”). მოცემული სახელმძღვანელო ცხადყოფს, რომ ECTS-ი შეიქმნა კრედიტების დაგროვებისთვის, თუმცა დღემდე სასიცოცხლო როლს ასრულებს სტუდენტთა მობილობის პროცესში - ხელს უწყობს მობილური სტუდენტის მიღწევების ტრანსფერსა და აღიარებას.

ECTS-ის გამოყენებისას, შემდეგი დოკუმენტები გვეხმარება მობილობის დროს კრედიტების აღიარების პროცესში:

- კურსის კატალოგი
- სასწავლო ხელშეკრულება
- ნიშნების ფურცელი

- პრაქტიკის სერტიფიკატი

აღნიშნული დოკუმენტები გვაწვდიან ინფორმაციას მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ, რომლის საფუძველზეც აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელ დაწესებულებას შეუძლია გადაწყვეტილების მიღება კრედიტების აღიარებისა და ტრანსფერის თაობაზე. დეტალებისთვის, გთხოვთ, იხილოთ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ევროპული აღიარების სახელმძღვანელოს“ მეშვიდე თავი (2014). მასში მოცემულია დიაგრამა საზღვარგარეთ სწავლის პერიოდების აღიარების შესახებ.

NOTE BENE

მობილობის დროს კრედიტების აღიარების ოქროს წესი დაწესებულებებს შორის ხელშეკრულებების ფარგლებში

საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში ან ვირტუალური მობილობის დროს დაგროვილი კრედიტები - სასწავლო ხელშეკრულებით შეთანხმებული და ნიშნების ფურცლით დადასტურებული - დაუყოვნებლივ უნდა იყოს აღიარებული დამატებითი აქტივობისა და სტუდენტის შეფასების გარეშე, როგორც მისი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი.

4.2.1 კრედიტების დაგროვების მიზნით მობილობის პერიოდამდე

კრედიტების დაგროვების მიზნით მობილობის ორგანიზებისა და აღიარების ხელშესაწყობად, სამი მხარე - სტუდენტი, მისი გამგზავნი და მიმღები დაწესებულება ან ორგანიზაცია/საწარმო - უნდა შეთანხმდეს საზღვარგარეთ მობილობის პროგრამაზე. შეთანხმების ფორმალიზება უნდა მოხდეს სასწავლო ხელშეკრულებით, რომელსაც ხელს მოაწერს სამივე მხარე მობილობის პერიოდის დაწყებამდე. სასწავლო ხელშეკრულებამ სტუდენტს უნდა მისცეს დასტური იმისა, რომ მას უღიარდება მობილობის დროს დაგროვილი კრედიტები. პროგრამა ERASMUS+ პროგრამის მონაწილე დაწესებულებებს სთავაზობს სასწავლო ხელშეკრულების შაბლონს სწავლისა და პრაქტიკისთვის. დაწესებულებებს ERASMUS+ აგრეთვე სთავაზობს სახელმძღვანელოს შაბლონის გამოყენების შესახებ და განუსაზღვრავს ვადას, რომლის ფარგლებშიც უნდა იმოქმედონ დაწესებულებებმა.

მობილობის პერიოდში გავლილი საგანმანათლებლო კომპონენტები არ უნდა იყოს შერჩეული გამგზავნი დაწესებულების ცალკეულ საგანმანათლებლო

კომპონენტებთან იდენტობის საფუძველზე. საზღვარგარეთ მობილური სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა იყოს თავსებადი მშობლიური დაწესებულების იმ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს აღიარება საზღვარგარეთ სწავლის პერიოდის დასრულების შემდეგ. ამგვარად მიმღებ დაწესებულებაში დაგროვილი კრედიტები უფრო მარტივად ჩაანაცვლებს კრედიტების შესაბამის რაოდენობას გამგზავნი დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაში. შესაძლებელია არა თითოეული კომპონენტის ცალ-ცალკე, არამედ მობილობის პერიოდის მთლიანობაში აღიარება.

სასწავლო ხელშეკრულებაში განსაზღვრული უნდა იყოს მიმღებ დაწესებულებაში გასავლელი საგანმანათლებლო კომპონენტები და ისიც, თუ როგორ მოხდება მათი ინტეგრირება გამგზავნი დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაში. მიმღებ დაწესებულებაში დასაგროვებელი კრედიტების მოცულობა საზღვარგარეთ სწავლის ხანგრძლივობის პროპორციული უნდა იყოს. სრული დატვირთვის აკადემიური წლის მანძილზე სტუდენტმა მოსალოდნელია დააგროვოს 60 ECTS კრედიტი.

მიმღები დაწესებულება იღებს ვალდებულებას დაარეგისტრიროს მობილური სტუდენტი დაგეგმილ საგანმანათლებლო კომპონენტებზე და ადასტურებს, რომ ეს კომპონენტები შეთავაზებული იქნება დაგეგმილი მობილობის პერიოდისთვის.

სამი მხარის მიერ ხელმოწერის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს სამივე მხარის შეთანხმებით.

NOTA BENE

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლება საშუალებას აძლევს სტუდენტებს მათი დაწესებულების ფარგლებს გარეთ გაიარონ სასწავლო კურსები („ვირტუალური მობილობა“). ამ ტიპის სტუდენტებს უნდა გაეწიოთ ხელმძღვანელობა, ხოლო „გამგზავნ დაწესებულებასა“ და სტუდენტს შორის უნდა გაფორმდეს სასწავლო ხელშეკრულება.

ერთობლივ პროგრამებში მობილობის სქემები და კრედიტების აღიარების წესიც შეთანხმებულია პარტნიორ დაწესებულებებთან. ერთობლივ პროგრამებში არ არის აუცილებელი სასწავლო ხელშეკრულებების გამოყენება: ხდება პარტნიორ დაწესებულებაში დაგროვილი კრედიტების ავტომატური აღიარება, თუ წინასწარ შეთანხმებული წესი და ყველა პირობა დაცულია. მიუხედავად ამისა, სტუდენტს მკაფიო წარმოდგენა უნდა ჰქონდეს თავის სასწავლო პროცესზე და ამისთვის სასწავლო ხელშეკრულება კარგი მაგალითია.

4.2.2 კრედიტების დაგროვების მიზნით მობილობის პერიოდის შემდეგ

მიმღები დაწესებულება სტუდენტის შედეგების შეფასების გამოცხადების შემდეგ, სტუდენტსა და მის გამგზავნ დაწესებულებას (ორი დაწესებულების მიერ ერთმანეთთან შეთანხმებულ), გონივრულ და მოკლე ვადაში წარუდგენს ნიშნების ფურცელს.

სასწავლო ხელშეკრულებაში მითითებული საგანმანათლებლო კომპონენტების წარმატებით დასრულების და მიმღები დაწესებულების მიერ გაცემული ნიშნების ფურცლით დადასტურების შემდეგ, გამგზავნმა დაწესებულებამ სრულად უნდა აღიაროს წინასწარ შეთანხმებული ECTS კრედიტები, მოახდინოს მათი ტრანსფერი სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაში და გამოიყენოს ეს კრედიტები კვალიფიკაციის მისანიჭებლად. გამგზავნმა დაწესებულებამ მკაფიოდ უნდა განმარტოს, როგორ მოხდა საზღვარგარეთ გავლილი დამატებითი კომპონენტების ინტეგრირება მშობლიურ საგანმანათლებლო პროგრამაში. საჭიროების შემთხვევაში ხდება ქულების კონვერტაცია (იხ. ქვეთავი 4.3). ეს ინფორმაცია უნდა აისახოს ნიშნების ფურცელში (ან სხვა შესაბამის დოკუმენტში/ბაზაში) და უნდა ეცნობოს სტუდენტს.

განსაზღვრული უნდა იყოს საგანმანათლებლო კომპონენტების შეფასების ინსტიტუციური პროცედურები იმ შემთხვევისთვის, როცა მიმღებ დაწესებულებაში სტუდენტები წარმატებით ვერ დაასრულებენ ამა თუ იმ კომპონენტს. აღნიშნული პროცედურების შესახებ სტუდენტებს წინასწარ უნდა ეცნობოთ.

დიპლომის დანართის შემუშავების მიზანი იყო კურსდამთავრებულების ინფორმირება მათი მიღწევების შესახებ. აქედან გამომდინარე, საზღვარგარეთ წარმატებით დასრულებული საგანმანათლებლო კომპონენტები ჩართული იქნება დიპლომის დანართის თანდართულ ნიშნების ფურცელში მათი სახელწოდებებით ორიგინალის ენაზე (და თარგმანით იმ ენებზე, რომლებზეც დიპლომის დანართია გაცემული). გარდა ამისა, აღინიშნება დაწესებულება, სადაც ეს კომპონენტები იქნა გავლილი, შესაბამისი კრედიტები და ნიშნები. საზღვარგარეთ პრაქტიკის გავლის შემთხვევაში, კრედიტების ტრანსფერის დოკუმენტირება მოხდება პრაქტიკის სერტიფიკატით, დიპლომის დანართით ან ევროპასის მობილობის დოკუმენტით (Europass Mobility - დოკუმენტი, რომელშიც იწერება ევროპულ ქვეყანაში მიღებული ცოდნა და უნარები, რომელიც ივსება პირის მობილობაში მონაწილე დაწესებულებების მიერ (გამგზავნი და მიმღები დაწესებულებები)). მკაცრად რეკომენდებულია უკვე კურსდამთავრებულთათვის ევროპასის მობილობის დოკუმენტის გაცემა, ვინაიდან მათ პრაქტიკა გაიარეს სწავლის დასრულების შემდეგ და ზემოთ აღნიშნული დოკუმენტები მათთვის რელევანტური აღარ არის.

4.2.3 ინსტიტუციური წესები და რეგულაციები

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ქვემოთ წარმოდგენილი პოზიტიური გამოცდილება ხელს უწყობს კრედიტების დაგროვების მიზნით მობილობის და აღიარების მართვას.

ინსტიტუციური ვალდებულება

საჭიროა საგანგებო ინსტიტუციური წესების შემუშავება სხვა სასწავლო გამოცდილების აღიარებასთან, სხვადასხვა ტიპის (მათ შორის ვირტუალური) მობილობის ფარგლებში კრედიტების დაგროვებასა და ტრანსფერთან, პრაქტიკასთან, ვირტუალურ სწავლასთან, წინმსწრებ და არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებით.

დაწესებულებას მკაფიოდ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული კრედიტების დაგროვების მიზნით მობილობის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის პასუხისმგებელი სტრუქტურები, უნდა უზრუნველყოს საკონკურსო პროცედურებისა და შერჩევის კრიტერიუმების გამჭვირვალობა და სამართლიანობა, გასაჩივრების მექანიზმების არსებობა. თითოეულ დეპარტამენტში ან დარგობრივი მიმართულების ფარგლებში უნდა განისაზღვროს თანამშრომელი, რომელიც ოფიციალურად იქნება უფლებამოსილი საზღვარგარეთ სწავლის პროგრამა განიხილოს სტუდენტთან ერთად, დაამტკიცოს და გამგზავნი დაწესებულების სახელით ხელი მოაწეროს სასწავლო ხელშეკრულებას მობილობის პერიოდის დაწყებამდე, ხოლო ნიშნების ფურცელს - მობილობის დასრულების შემდეგ.[6] აკადემიური აღიარების საკითხი არ უნდა იყოს განხილული იმ თანამშრომლებთან, რომელთაც შესაბამისი უფლებამოსილება არ გააჩნიათ, არც ამა თუ იმ კომისიასთან, არც მობილობამდე და არც მობილობის შემდეგ. საზღვარგარეთ მობილობის დასრულების და მშობლიურ დაწესებულებაში დაბრუნების შემდეგ, სტუდენტს არ უნდა მოეთხოვოს გამოცდების ჩაბარება ან რაიმე დამატებითი სამუშაოს შესრულება.

---

[6]პროგრამა ERASMUS+ გვთავაზობს სასწავლო ხელშეკრულების შაბლონს, სადაც პასუხისმგებელი პირების ფუნქციები შემდეგნაირად განისაზღვრება:

პასუხისმგებელი პირი გამგზავნ დაწესებულებაში: აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც უფლებამოსილია დაამტკიცოს მობილობით წამსვლელი სტუდენტების მობილობის პროგრამა (სასწავლო ხელშეკრულება), საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეიტანოს მასში, პასუხისმგებელი აკადემიური ორგანოს სახელით იყოს გარანტი იმისა, რომ მოხდება ამ პროგრამის სრული აღიარება.

პასუხისმგებელი პირი მიმღებ დაწესებულებაში: აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც უფლებამოსილია დაამტკიცოს მობილობით მოსული სტუდენტების მობილობის პროგრამა, უზრუნველყოს მათი აკადემიური მხარდაჭერა მიმღებ დაწესებულებაში სწავლის პერიოდში.

პარტნიორი დაწესებულებების შერჩევა

რეკომენდებულია გაცვლითი ხელშეკრულებების გაფორმება შემდეგ დაწესებულებებთან:

- რომლებიც გვთავაზობენ საგანმანათლებლო პროგრამების მკაფიო აღწერილობას, სწავლის შედეგების, კრედიტების, სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების ჩათვლით;
- რომელთა სწავლის, სწავლებისა და შეფასების პროცედურები მისაღებია გამგზავნი დაწესებულებისთვის, რათა სტუდენტს აღარ დასჭირდეს დამატებით რაიმე სახის სამუშაოს შესრულება ან გამოცდის ჩაბარება;
- რომლებსაც გავლილი აქვთ ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები, შესაბამისი ქვეყნის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ხელშეკრულებები შეიძლება გაფორმდეს არა მხოლოდ იმ დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ მსგავს პროგრამებს, არამედ იმ დაწესებულებებთან, რომლებიც გვთავაზობენ „შემავსებელ“ საგანმანათლებლო პროგრამებსაც.

კრედიტების დაგროვების მიზნით მობილობის ინტეგრაცია საგანმანათლებლო პროგრამებში

კურიკულუმში მობილობის ასახვა ხელს უწყობს აღიარებას. დაწესებულებებს შეუძლიათ:

განსაზღვრონ სწავლების სემესტრი ან წელი, როდესაც საზღვარგარეთ სწავლა ყველაზე უკეთ „ჯდება“ პროგრამაში (ე.წ. მობილობის ფანჯარა);

სწავლების იმ სემესტრის/წლისთვის დაგეგმონ საგანმანათლებლო კომპონენტები იმ სწავლის შედეგებით, რომელთა მიღწევა ადვილად შეიძლება საზღვარგარეთ (მაგალითად, საერთაშორისო ან კომპარატივისტული კურსები, არჩევითი კურსები, საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადება, ენის კურსები, პრაქტიკა);

განსაზღვრონ ის პარტნიორი დაწესებულებები, სადაც თავსებადი/შემავსებელი სწავლის შედეგების მიღწევაა შესაძლებელი.

NOTA BENE

ERASMUS+-ის პროგრამის ფარგლებში რამდენიმე ქარტია გვთავაზობს ჩარჩოს მობილობისა და აღიარებისათვის. კერძოდ, უმაღლესი განათლების ERASMUS-ის ქარტია (ინსტიტუციური ვალდებულება), ევროპული ხარისხის ქარტია მობილობისთვის, ERASMUS-ის სტუდენტის ქარტია (კარგი გამოცდილების ევროპული კოდექსი ERASMUS+-ის სტუდენტებისთვის).

4.3 ქულების განაწილება

სხვადასხვა კულტურული და აკადემიური ტრადიციების გამო, ევროპულ საგანმანათლებლო სისტემებს ჩამოყალიბებული აქვთ არა მხოლოდ განსხვავებული ეროვნული შეფასების სკალები, არამედ მათ სხვადასხვაგვარად იყენებენ ერთი ქვეყნის ფარგლებშიც კი, სხვადასხვა სფეროებსა და დაწესებულებებში. მნიშვნელოვანია როგორც ამ განსხვავებების აღიარება, ისე მათი გამჭვირვალობა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ფარგლებში, რათა სხვადასხვა ქვეყნებში, დარგობრივ სფეროებსა და დაწესებულებებში მინიჭებული ქულები სათანადოდ იყოს გააზრებული და შედარებული.

მობილურ სტუდენტებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სამართლიანი შეფასება და ქულების გამჭვირვალობა ერთი დაწესებულებიდან მეორეში კრედიტების ტრანსფერის დროს, ვინაიდან სწავლის გაგრძელება, გრანტები თუ სხვა შეღავათები შეიძლება დამოკიდებული იყოს მათ მოსწრებაზე. მოსწრების დონის გამჭვირვალობა მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთათვის საკუთარ ან სხვა ქვეყანაში დასაქმებისთვისაც.

თითოეული სტუდენტის მოსწრების შესახებ გამჭვირვალე და თანმიმდევრული ინფორმაციის უზრუნველსაყოფად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, შეფასების ეროვნულ/ინსტიტუციურ სკალასთან და მის განმარტებასთან ერთად წარმოადგინოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ან დარგობრივი სფეროს ფარგლებში გამსვლელი ქულების სტატისტიკური განაწილების ცხრილი, რომელიც გვიჩვენებსრეალურად როგორ გამოიყენება შეფასების სკალა შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაში. შეფასების განაწილების სკალა პირველად შემოტანილ იქნა ECTS-ის სახელმძღვანელოში 2009 წელს. მან ჩაანაცვლა ECTS-ის შეფასების სკალა (A, B, C, D, E),რომელიც დღეს უკვე აღარ გამოიყენება.

მაშინაც კი, როცა ქულების ტრანსფერი არ არის აუცილებელი მიმღები დაწესებულების ადგილობრივი აკადემიური ტრადიციიდან გამომდინარე, ქულების განაწილების ცხრილი ხელს უწყობს „სტუმარი“ სტუდენტების მიმართ სამართლიან დამოკიდებულებას გამგზავნ დაწესებულებაში მათი დაბრუნების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ კარგი პრაქტიკაა შიდა გამომცდელთათვის/შემფასებელთათვის საგამოცდო ქულების შესახებ დეტალური სტატისტიკური მონაცემების გაცნობა, რათა პროცესი გახდეს უფრო გამჭვირვალე და წარმოჩინდეს ნებისმიერი გადაცდომა შემდგომი რეაგირებისთვის.

ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას პარტნიორები, კონსორციუმის ფარგლებში, წინასწარ უნდა შეთანხმდნენ შეფასებისა და ქულების ტრანსფერის საკითხებზე.

ქულების განაწილების ცხრილები გვიჩვენებს, როგორ იყენებს დაწესებულება შეფასების ეროვნულ ან ინსტიტუციურ სისტემას და საშუალებას გვაძლევს

შევუდაროთ ქულების სტატისტიკურ განაწილება სხვა დაწესებულების პარალელურ რეფენტული ჯგუფში. ზემოთ აღნიშნული ცხრილები წარმოგვიდგენს დადებითი ქულების სტატისტიკურ განაწილებას თითოეული საგანმანათლებლო სფეროს მიხედვით ამა თუ იმ დაწესებულებაში. მნიშვნელოვანია დამატებითი ინფორმაცია აგრეგაციის ამავე საფეხურზე წარმატების განაკვეთების შესახებ, თუმცა ისინი არ უნდა იყოს გამოყენებული ტრანსფერისთვის.

ქულების განაწილების ცხრილი შემუშავებული უნდა იყოს სტანდარტული ფორმატით, ერთი და იმავე საგანმანათლებლო სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების რეფერენტული ჯგუფებისთვის. რეფერენტული ჯგუფები სანდო უნდა იყოს სტუდენტებისა რაოდენობის და გაანალიზებული წლების თვალსაზრისით.

ქულების განაწილების ცხრილების შედგენა ბევრ დაწესებულებაში ცენტრალიზებულად ხდება და ამ პროცესმა გაუმართლებელი სირთულეები არ უნდა წარმოშვას, ვინაიდან საჭირო ინფორმაცია ჩვეულებრივ ხელმისაწვდომია ინსტიტუციურ საინფორმაციო სისტემებში, ხოლო პროცენტების გამოთვლა ადვილია მარტივი პროგრამული უზრუნველყოფით. ქულების განაწილების ცხრილის შესადგენად საჭიროა შემდეგი ნაბიჯების გავლა:

1. რეფერენტული ჯგუფების განსაზღვრა ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმების გამოყენებით, რომლებიც თან უნდა დაერთოს შედგენილ ცხრილებს. შედარებად სწავლის შედეგებზე დაფუძნებული მეთოდების არარსებობის შემთხვევაში, რეკომენდებულია ISCED-F კლასიფიკატორის გამოყენება, რომელიც გვთავაზობს საგანმანათლებლო სფეროების სტანდარტიზებულ და იერარქიულ კლასიფიკაციას. სტატისტიკურად რელევანტური შედარების მიზნით,მოზრდილი რეფერენტული ჯგუფების უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია ISCED კოდების გამოყენება „ვიწრო“ და „დეტალური“ საფეხურებისთვის (იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი, 2014).
2. გამსვლელი ქულების აბსოლუტური რაოდენობის დაანგარიშება რეფერენტული ჯგუფებში არა ნაკლებ ბოლო ორი წლის მონაცემების საფუძველზე. ინფორმაცია წარმატების განაკვეთის შესახებ შესაძლებელია მოცემული იყოს ზოგადად, მაგრამ არა - ცხრილში.
3. ქულების განაწილების გამოთვლა რეფერენტული ჯგუფებში გამსვლელი ქულების პროცენტებით და კუმულაციური პროცენტული მაჩვენებლების დადგენა. შედეგად მივიღებთ ქულების განაწილების ცხრილს, სადაც წარმოდგენილი იქნება პროცენტები და კუმულაციური პროცენტული მაჩვენებლები თითოეული რეფერენტულიჯგუფისთვის.

ქულების განაწილების ცხრილის საილუსტრაციო მაგალითი:

დაწესებულებაში გამოყენებული ქულები (უმაღლესიდან უდაბლესამდე)*	რეფერენტული ჯგუფისთვის მინიჭებული გამსვლელი ქულების რაოდენობა	თითოეული ქულის პროცენტული მაჩვენებელი მინიჭებულ გამსვლელ ქულებთან მიმართებაში	მინიჭებული გამსვლელი ქულების კუმულაციური პროცენტული მაჩვენებელი
10	50	5 %	5 %
9	100	10 %	15 %
8	350	35 %	50 %
7	300	30 %	80 %
6	200	20 %	100 %
სულ:	1,000	100 %	

* შესაძლებელია, რომ შეფასების ერთიანი სისტემი/მიდგომა არსებობდეს ეროვნულ დონეზე.

ნიშნების ფურცელსა და დიპლომის დანართზე თანდართული ქულების განაწილების ცხრილი გვეხმარება სტუდენტის მიერ მიღებული თითოეული ქულის ინტერპრეტაციაში და აღარ გვჭირდება დამატებით ანგარიში.

4.4 ქულების კონვერტაცია

როდესაც დაწესებულება იღებს გადაწყვეტილებას მათი მობილური სტუდენტების ქულების ტრანსფერის შესახებ, აკადემიურმა პასუხისმგებელმა პირმა მისი დაწესებულების ქულების განაწილების ცხრილი უნდა შეადაროს პარალელური რეფერენტული ჯგუფისთვის სხვა დაწესებულების მიერ შედგენილ ანალოგიურ ცხრილს. ერთმანეთს შეიძლება შედარდეს თითოეული ქულის მდებარეობა ორ სხვადასხვა ცხრილში და ამ შედარების საფუძველზე მოხდეს ქულების კონვერტაცია. ჩვეულებრივ, ქულების განაწილების პროცენტული მაჩვენებლები ერთმანეთს ემთხვევა. ამ პროცედურის მიზანი გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა. მიუხედავად ამისა, მიმღებმა დაწესებულებამ თავიდანვე უნდა განსაზღვროს გადაფარვის სპექტრის მინიმალურ, საშუალო თუ მაქსიმალურ შედარებად ქულას აიღებს.

დანართი 2 წარმოგვიდგენს ქულების კონვერტაციის პრაქტიკულ მაგალითებს.

5. ECTS და „ სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში’’

სახელმძღვანელოს აღნიშნული თავი ეთმობა ECTS-ის როლს „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის“, სწავლის ღია შესაძლებლობების, წინმსწრები განათლებისა და გამოცდილების აღიარების ხელშეწყობის საქმეში.

5.1 „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ - სწავლის ღია შესაძლებლობები

უმაღლესი განათლების ლანდშაფტი იცვლება სწავლის უფრო მრავალფეროვანი და მოქნილი შესაძლებლობების სწრაფად განვითარების წყალობით, რაც გულისხობს სწავლების შერეულ მოდელს, ონლაინ სწავლების ახალ ფორმებს, მასობრივ ღია ონლაინ კურსებს (MOOCs), ღია საგანმანათლებლო რესურსებს (OER), სწავლას დასაქმებით, დამოუკიდებლად სწავლას, ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამას, უწყვეტ პროფესიულ განვითარებას (იხ. თავი 3). სტუდენტების სულ უფრო და უფრო მზარდი რაოდენობა ირჩევს განცალკევებით მდგომ (stand alone), დამოუკიდებელ საგანმანათლებლო ერთეულებსა და კურსებს, კონკრეტული კვალიფიკაციის მოპოვების გარეშე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები იძულებული არიან დააკმაყოფილონ სტუდენტთა მრავალფეროვანი ჯგუფების საჭიროებანი და მათ შესთავაზონ დამოუკიდებლად სწავლისა და ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შესაძლებლობები, სწავლის განსხვავებული ფორმები. აქედან გამომდინარე, ბევრი დაწესებულება ამდიდრებს საგანმანათლებლო კომპონენტებს სწავლისა და სწავლების ინოვაციური ფორმებით, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ღია საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით.

ECTS-ის სიძლიერე ისაა, რომ იგი შეიძლება გამოყენებული იყოს ზემოთ აღნიშნულ ნებისმიერ საგანმანათლებლო კონტექსტში, კრედიტების განაწილების, მინიჭების, დაგროვებისა და ტრანსფერის იმავე პრინციპების დაცვით. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებისთვის კრედიტის მინიჭება ხდება ისე, როგორც ღია სწავლისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სხვა ფორმებისთვის - იმ დატვირთვის საფუძველზე, რაც განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად არის საჭირო.

ნებისმიერი „ფორმალური“ (ანუ ჩვეულებრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტების შესაბამისი), ხარისხის უზრუნველყოფის მქონე უმაღლესი განათლება, როგორიცაა მაგალითად, ღია სწავლება, სასურველია იყენებდეს ECTS-ს ისეთივე გამჭვირვალე მექანიზმებით, როგორიც მოცემულ სახელმძღვანელოშია აღწერილი. ეს მნიშვენლოვნად შეუწყობს ხელს სწავლის სხვადასხვა ფორმებს, აღიარებასა და ტრანსფერს, გაზრდის სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეების ნდობას ღია სწავლის შედეგების მიმართ.

NOTA BENE

სულ უფრო და უფრო მეტად აღიარებენ, რომ უწყვეტი პროფესიული განვითარება (CDP) არსებითია რეგულირებადი პროფესიებისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება ჯანმრთელობის დაცვის სფეროს. უწყვეტ პროფესიულ განვითარებას აქვს საერთაშორისო განზომილება და მისი მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდება. როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფლობით პროფესიულ განვითარებას ერთნაირად აფასებენ პროფესიონალებიც და განმახორციელებლებიც, როგორც „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის“ ფორმას. იგი მოიცავს ფორმალურ და არაფორმალურ სწავლას. მიუხედავად იმისა, რომ უწყვეტი პროფესიული განვითარების ელემენტები შეიძლება გადატანილი იყოს სწავლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) ან პროფესიული დოქტორანტურის ფარგლებში (ეროვნული კანონმდებლობიდან გამომდინარე), უწყვეტ პროფესიულ განვითარებას - როგორც წმინდა პროფესიულ პრაქტიკას - სპეციფიკური ხასიათი აქვს: შესაძლებელია მისი თვითმენეჯმენტი და თვითშეფასება კოლეგიალური შეფასების (peer-review) საფუძველზე. დასაქმება, საქმიანობის გაგრძელების უფლება, პროფესიული პრაქტიკის დაცვის სტანდარტები, საზოგადოების დაცვა და ჯანდაცვის პროფესიებში - პაციენტის უსაფრთხოება მოითხოვს, რომ უწყვეტი პროფესიული განვითარება იყოს გაზომვადი, შესაძლებელი იყოს მისი დამოწმება და აგრეთვე იყოს სერტიფიცირებული აღიარებული/ავტორიზებული ორგანოს მიერ.

ამ ყველაფრის მიღწევის გზები მუდმივი დისკუსიის საგანია პროფესიული განვითარებით დაინტერესებულ წრეებში. ითვლება, რომ როგორც პროფესიული განათლებისა ევროპული საკრედიტო სისტემის (ECVET), ისე ECTS-ს გამოყენება რელევანტურია, ვინაიდან მუდმივმა პროფესიულმა განვითარებამ შეიძლება დაიკავოს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს ნებისმიერი საფეხური. თუმცა ეს ორი სისტემა ჯერ კიდევ არ არის ურთიერთჩანაცვლებადი და სხვადასხვა პროფესიას სხვადასხვა კულტურა და ეროვნული სუბ-კულტურა აქვთ. დისკუსია ევროპული საკრედიტო სისტემების შესახებ გრძელდება და ვიმედოვნებთ, რომ მის შედეგად დაზუსტდება უწყვეტ პროფესიულ განვითარების ფარგლებში კრედიტების გამოყენების საკითხი. მანამდე კი უწყვეტი პროფესიული განვითარების განმახორციელებლებს (ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეხუთედან მერვე საფეხურამდე) ვურჩევთ - გამჭვირვალობის, აღიარების, კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის მიზნით - იფიქრონ ECTS-ს მიზანშეწონილობაზე მოცემულ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მეთოდოლოგიის გამოყენებით.

უმაღლესი განათლების ნებისმიერი ფორმის, მათ შორის უწყვეტი და პროფესიული განათლებისთვის მინიჭებული კრედიტები შეიძლება აღიარებული და დაგროვილი იყოს ამა თუ იმ კვალიფიკაციის მოპოვების მიზნით, რაც დამოკიდებულია სტუდენტის სურვილზე და/ან შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობებზე. რომელიმე დამოუკიდებელ მოსწავლეს შეიძლება აინტერესებდეს ამა თუ იმ საგანმანათლებლო კომპონენტის გავლა, მაგრამ არ სურდეს კვალიფიკაციის მოპოვება, მაგრამ კრედიტების დაგროვების და დოკუმენტირების შემთხვევაში, მომავალში ის შეძლებს მათ გამოყენებას.

სასწავლო სფეროში ყველა მიღწევის დოკუმენტირება და სწავლების საფეხურზე კრედიტების შესაბამისი მოცულობის მინიჭება, რომ მომავალში ამ ცოდნის გამჭვირვალედ და ავთენტურად აღიარების შესაძლებლობას იძლევა ისე, რომ მომავალში მოხდეს ამ კრედიტების გამოყენება ამა თუ იმ კვალიფიკაციის მოსაპოვებლად. ფორმალური განათლების ფარგლებში ვალიდაციისა და აღიარების ინსტრუმენტები უნდა მოერგოს უფრო მრავალფეროვან და მოქნილ საგანმანათლებლო გარემოს და ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი უნდა გახდეს ღია სწავლების ახალი ფორმების აღიარება. ECTS-ის სწორი გამოყენება დიდად შეუწყობს ხელს ვითარების გაუმჯობესებას.

5.2. წინმსწრები განათლებისა და გამოცდილების აღიარება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილი უნდა იყვნენ მიანიჭონ კრედიტები სწავლის შედეგებს, რომლებიც მიღწეულია ფორმალურ საგანმანათლებლო კონტექსტს მიღმა, სამუშაო გამოცდილებით, მოხალისეობით, სტუდენტურ აქტივობებში ჩართულობით, დამოუკიდებელი სწავლით, თუმცა კრედიტების მინიჭება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სწავლის შედეგები აკმაყოფილებს მათი საგანმანათლებლო პროგრამებისა და კომპონენტების მოთხოვნებს. არაფორმალური სწავლის ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებს ავტომატურად უნდა მიენიჭოს კრედიტების ის რაოდენობა, რაც ოფიციალური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის კომპონენტს აქვს.

ფორმალური განათლების მსგავსად, კრედიტების მინიჭებას წინ უნდა უსწრებდეს შეფასება, რათა დადასტურდეს, რომ სწავლის შედეგები მიღწეულია. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ისე უნდა განისაზღვროს, რომ გაიზომოს შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა სათანადო საფეხურზე, სპეციფიკური სასწავლო აქტივობებისა და დატვირთვის აღნიშვნის გარეშე. მაგალითად, „აუდიტორიაში დისკუსიაში მონაწილეობა“ ვერ განიხილება შეფასების მეთოდად, თუ რელევანტურად არ ჩაითვალა სწავლის შედეგი „არგუმენტების ფორმულირება ჯგუფში მუშაობის დროს“. თითოეულ დეპარტამენტში ან დარგობრივი მიმართულების ფარგლებში უნდა განისაზღვროს სათანადოდ მომზადებული თანამშრომელი, რომელიც ოფიციალურად იქნება უფლებამოსილი კრედიტები მიანიჭოს ფორმალურ საგანმანათლებლო კონტექსტს მიღმა მიღწეულ სწავლის

შედეგებს, დაწესებულების მიერ დადგენილი და გამოქვეყნებული გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე. აღნიშნულმა თანამშრომლებმა სისტემატურად უნდა მოამზადონ წერილობითი ანგარიში გადაწყვეტილებების დასასაბუთებლად და უნდა წარუდგინონ ის შესაბამის კომისიას (დეპარტამენტის, ფაკულტეტის, ან დაწესებულების დონეზე).

NOTA BENE

წინმსწრები განათლების აღიარებისთვის არსებობს **შეფასების მეთოდების** ფართო სპექტრი. შეფასების ერთ-ერთი მეთოდია პორტფოლიო, რომელიც მოიცავს მოსწავლეების მიერ მოგროვილ იმ დოკუმენტებს, რომლებიც წარმოაჩენს სხვადასხვა გზით გამომუშავებულ უნარებს.

პორტფოლიო მოიცავს იმ მასალებს, რომლებიც ადასტურებს არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღებულ ცოდნასა და გამომუშავებულ უნარებს. პორტფოლიოში შეიძლება ჩართული იყოს ხელმძღვანელებისა და დამსაქმებლების რეკომენდაციები, საქმიანობის შეფასება, CV და სხვა დოკუმენტები. პორტფოლიოს გამოყენებით შემფასებელი აანალიზებს მოსწავლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას. პორტფოლიოს მოსამზადებლად მოსწავლეს შეიძლება დასჭირდეს დახმარება და რჩევა.

დაწესებულებებს შემუშავებული უნდა ჰქონდეთ არაფორმალური განათლების აღიარების პოლიტიკა, რაც უნდა მოიცავდეს ისეთ დეტალებს, როგორიცაა კონსულტირება, უკუკავშირი მოსწავლესთან შეფასების შედეგების თაობაზე, გასაჩივრების შესაძლებლობა. დაწესებულებებმა აგრეთვე უნდა შექმნან შესაბამისი ინფრასტრუქტურა კონსულტირების, ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარებისთვის. ეროვნული და ინსტიტუციური გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლებელია სხვადასხვა მიდგომების არსებობა. მაგალითად, შეიძლება არსებობდეს შესაბამისი ცენტრი ერთი დაწესებულების ბაზაზე, ან - ერთობლივი ცენტრი რამდენიმე დაწესებულებისთვის. ინსტიტუციური პოლიტიკა და პრაქტიკა გამოქვეყნებული უნდა იყოს ვებ-გვერდზე, თვალსაჩინო ადგილას.

არაფორმალური განათლების აღიარება ზრდის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სოციალურ ჩართულობას. მოსწავლეებისათვის დაშვების შესაძლებლობების გაფართოება და მათი ჩართულობის გაზრდა უმაღლეს განათლებაში რეალობად აქცევს ,,მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის''

პრინციპს. დაწესებულებები განსაკუთრებით გახსნილი უნდა იყვნენ პროფესიული განათლების აღიარების საკითხისადმი.

NOTA BENE

არაფორმალური განათლებისთვის კრედიტების მინიჭებას აქვს ოთხი ძირითადი საფეხური:

1. თავდაპირველი რჩევა და ხელმძღვანელობა (რას გულისხმობს ეს პროცესი მოსწავლისათვის, კრედიტების ზღვარი არაფორმალური განათლებისთვის; ღირებულება, მოსწავლისა და ტუტორის/მრჩევლის როლი და პასუხისმგებლობა; სხვადასხვა გზები კვალიფიკაციის მოსაპოვებლად).
2. მხარდაჭერა (სწავლის შედეგების გააზრება; საკუთარი სწავლის შედეგების განსაზღვრა; მტკიცებულებების მოძიება და შერჩევა).
3. აღიარება/შეფასება (სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებათა შეფასება და შეფასების კრიტერიუმები).
4. კრედიტის მინიჭება (აღნიშნული პროცედურის შედეგად მინიჭებულ კრედიტს იგივე მოცულობა უნდა ჰქონდეს, რაც ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებულს).

NOTA BENE - ECVET

პროფესიული განათლების ევროპული საკრედიტო სისტემა (ECVET) შემოღებულ ყქნა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე 2009 წელს (2009/C155/02).

ECVET-იხელს უწყობს იმ პირთა შეფასებული სწავლის შედეგების ტრანსფერს, დაგროვებასა და აღიარებას, რომლებიც მიზნად ისახავენ პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მოპოვებას (VET).

ECTS-ის მსგავსად ECVET-ი ხელს უწყობს და ეხმარება სტუდენტებს, რომ იქონიონ სწავლის ინდივიდუალური სტილი, შეიძინონ გამოცდილება და შექმნან ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა კრედიტების დაგროვების საშუალებით - ერთი და იმავე დაწესებულების ფარგლებში, სხვადასხვა დაწესებულებაში, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა საგანმანათლებლო ქვესისტემასა და საგანმანათლებლო (ფორმალურ, არაფორმალურ) კონტექსტში.

ECTS-ის მსგავსად ECVET-ი ეფუძნება 60 კრედიტს, თუმცა კრედიტების განაწილება განსხვავებულია. ECVET-ი ხშირადგამოიყენება შეფასებული სწავლის შედეგების აღსანიშნად და დასაგროვებლად, კრედიტ ქულებში გადაყვანის გარეშე. მიუხედავად ამისა, კრედიტების კონვერტაციის ნაცვლად, პროფესიული განათლების აღიარება უნდა მოხდეს სწავლის შედეგების საფუძველზე.

6. ECTS-ი და ხარისხის უზრუნველყოფა

სახელმძღვანელოს მოცემული თავი წარმოაჩენს, როგორ უწყობს ხელს ECTS-ი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის განვითარებას და გვთავაზობს ECTS-ის იმპლემენტაციის შეფასების კონკრეტულ მაგალითებს.

ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების შეთანხმების თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფა უპირველესად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პასუხისმგებლობაა (ბერლინის კომუნიკე, 2003). ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მოიცავს ყველა იმ პროცედურას, რომელსაც ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება რათა მისმა საგანმანათლებლო პროგრამებმა და კვალიფიკაციებმა დააკმაყოფილოს როგორც თავად დაწესებულების, ისე სხვა შესაბამისი დაწესებულებების, მაგალითად, ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების მოთხოვნები. ხარისხის გარე შეფასებას ახორციელებენ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები, რათა მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია თავად დაწესებულებას და დაინტერესებულ მხარეებს. ხარისხის უზრუნველყოფა ვრცელდება ყველა ტიპის სწავლასა და სწავლებაზე (ფორმალური, არაფორმალური სწავლის, სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდები). „ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში“ (ENQA, 2005) მხარს უჭერს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფას (2015 წლის მაისში, ერევნის მინისტერიალზე მიღებულ იქნა აღნიშნული სახელმძღვანელოს განახლებული ვერსია - მთარგმნელის კომენტარი).

NOTA BENE

"ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში"(ESG) უმაღლეს განათლებაში შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს წარმოადგენს. ეს არ არის ხარისხის სტანდარტი და არც იმას განსაზღვრავს, როგორ უნდა განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფა. აღნიშნული დოკუმენტი გვთავაზობს სახელმძღვანელო პრინციპებს იმ სფეროებთან დაკავშირებით, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება უმაღლეს განათლებაში ხარისხისა და შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველსაყოფად. "ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში" განხილულ უნდა იყოს უფრო ფართო კონტექსტში, რომელიც გულისხმობს კვალიფიკაციების ჩარჩოებს, ECTS-ს და დიპლომის დანართს და ხელს უწყობს უმაღლესი განათლების გამჭვირვალობას და ორმხრივ ნდობას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში".

სტანდარტები 1.2, 1.3, 1.4 და მათთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპები ეხება ECTS-სა და მის მომიჯნავე საკითხებს (კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლას, სწავლებასა და შეფასებას, სტუდენტების ჩარიცხვას, მათ აკადემიურ წინსვლას, აღიარებასა და სერტიფიცირებას).

ECTS-ის სწორი გამოყენება ეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ გააუმჯობესონ მათი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი და მობილობის შესაძლებლობები. ამგვარად, შეფასების შესაბამისი მეთოდებით (მაგალითად, მონიტორინგი, ხარისხის შიდა და გარე შეფასება, სტუდენტების უკუკავშირი) უნდა განხორციელდეს ECTS-ის გამოყენების ხარისხის უზრუნველყოფა და მისი მუდმივი განვითარება. საგანმანათლებლო პროგრამის (მისი სწავლის შედეგების, დატვირთვისა და შეფასების მეთოდების) ეფექტურობის დასადგებად შეიძლება მიღებული იყოს სხვადასხვა ზომები. მათ შორის, შეიძლება გაანალიზდეს სტუდენტის სტატუსის შეჩერება-შეწყვეტის, გამოცდაზე ჩაჭრის მაჩვენებლები, ის დრო, რომელსაც სტუდენტები ანდომებენ

სწავლის დასრულებას. საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება ეფექტურად ჩაითვალოს, თუ მისი მიზნები მიიღწევა დროულად, ანუ როდესაც სტუდენტები დადგენილ ვადაში აღწევენ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, აგროვებენ კრედიტების სათანადო რაოდენობას და იღებენ შესაბამის კვალიფიკაციას. ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ გარემოებებსაც, როგორიცაა მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამის არაეფექტური დაგეგმვა და განხორციელება, ან სტუდენტების დამხმარე არაადეკვატური სერვისები.

ECTS-ის იმპლემენტაციის ხარისხის შეფასება შესაძლებელია შემდეგი ინდიკატორების გამოყენებით:

- საგანმანათლებლო კომპონენტები აღწერილია სათანადო სწავლის შედეგებით. არსებობს მკაფიო ინფორმაცია თითოეული კომპონენტის საფეხურის, კრედიტების, განხორციელებისა და შეფასების შესახებ;
- სწავლა შეიძლება დასრულდეს მისთვის განსაზღვრულ დროში (ანუ რეალისტურია სტუდენტის დატვირთვა აკადემიური წლის, სემესტრის, ტრიმესტრის ან ცალკეული სასწავლო კურსის განმავლობაში);
- ყოველწლიურად ხორციელდება მიღწეული შედეგების მონიტორინგი, რასაც საჭიროების შემთხვევაში შედეგად მოყვება შესაბამისი ცვლილებები;
- სტუდენტები ფლობენ დეტალურ ინფორმაციას და იღებენ კონსულტაციას, რათა შეძლონ სასწავლო პროცესის მოთხოვნების დაკმაყოფილება, ჰქონდეთ მოქნილად სწავლის და საგანმანათლებლო კომპონენტების არჩევის შესაძლებლობა;
- სტუდენტები დროულად იღებენ ინფორმაციას მათი შეფასების შედეგების შესახებ;

მობილური სტუდენტებისა და აღიარებისათვის:

- კრედიტების ტრანსფერის პროცესი გათვალისწინებულია მონიტორინგის, შეფასებისა და ვალიდაციის პროცედურებში;
- სათანადო ცოდნის მქონე პერსონალი პასუხისმგებელია კრედიტების აღიარებისა და ტრანსფერის საკითხებზე;
- ნებისმიერ შემთხვევაში ხდება სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება. მისი შემუშავება და მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანახდება სათანადო პროცედურების დაცვით;
- მობილური სტუდენტები სწავლობენ საგანმანათლებლო კომპონენტებს კურსის კატალოგიდან. მათი შეფასება და მათთვის ქულების მინიჭება ხდება ისე, როგორც ადგილობრივი სტუდენტების შემთხვევაში;
- მობილურ სტუდენტებს ეძლევათ დოკუმენტი დაგროვილი კრედიტებისა და ქულების მითითებით;
- კრედიტები ენიჭება თითოეულ, წარმატებით დასრულებულ საგანმანათლებლო კომპონენტს, რომელიც გათვალისწინებულია

შეთანხმებული სასწავლო ხელშეკრულების ბოლო ვერსიით. სტუდენტის შეფასება და შეფასების შედეგების დოკუმენტირება ხდება დროულად;

- არსებობს შეფასების ცხრილი, რომლის საშუალებითაც ხდება მინიჭებული ქულების ინტერპრეტაცია, რათა არა მხოლოდ კრედიტები, არამედ ქულებიც სათანადოდ აისახოს ნებისმიერი კვალიფიკაციის მინიჭების პროცესში.

სტუდენტების წარმომადგენლები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები ECTS-ის გამოყენების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. კერძოდ:

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის დროს სტუდენტები გვაწვდიან ინფორმაციას (კითხვარებზე სისტემატური პასუხით, ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობით); მონაწილეობენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის შემუშავების პროცესში; აქტიურად არიან ჩართული იმ ორგანოების საქმიანობაში, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ხარისხის შიდა უზრუნველყოფასა და ECTS კრედიტების განაწილების მონიტორინგზე.
- ხარისხის გარე უზრუნველყოფის დროს სტუდენტები მონაწილეობენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და/ან საგანმანათლებლო პროგრამის გარე შემფასებელი ორგანოს საქმიანობაში.

7. ECTS-ი და დამხმარე დოკუმენტები

ECTS-ს მხარდასაჭერად გამოიყენება დოკუმენტები, რომლებიც ეფუძნება წინამდებარე სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებულ პრინციპებს. სახელმძღვანელოს მოცემული თავი გვთავაზობს იმ ელემენტებს, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებში. სწორედ ამ ტიპის ინფორმაცია არის ფართოდ გავრცელებული და აღიარებული როგორც სასარგებლო (ტრადიციული და მობილური სტუდენტების), აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

სტუდენტების ინტერესების დასაცავად, დაწესებულებები ვალდებული არიან გამჭვირვალედ და ადვილად გასაგები ფორმით მოახდინონ სტუდენტების მიღწევების დოკუმენტირება. აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელო გვთავაზობს იმ ინფორმაციას, რომელიც უნდა აისახოს მობილობის ძირითად დოკუმენტებში, რათა სხვადასხვა დაწესებულებებმა და ქვეყნებმა, შიდა და გარე დაინტერესებულმა მხარეებმა უფრო უკეთ გაუგონ ერთმანეთს.

7.1 კურსის კატალოგი

კურსის კატალოგი მოიცავს დეტალურ, გასაგებ და განახლებულ ინფორმაციას დაწესებულების საგანმანათლებლო გარემოს შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტუდენტებისთვის როგორც დაწესებულებაში სწავლის დაწყებამდე, ისე სწავლის პერიოდში, რათა სტუდენტებმა მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები და მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენონ დრო. მაგალითად, კურსის კატალოგში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია შეთავაზებული კვალიფიკაციების, სწავლის, სწავლებისა და შეფასების პროცედურების, საგანმანათლებლო პროგრამების საფეხურების, საგანმანათლებლო კომპონენტებისა და სასწავლო რესურსების შესახებ. კურსის კატალოგში მოცემული უნდა იყოს აგრეთვე საკონტაქტო პირთა მონაცემები და ინფორმაცია, როგორ, როდის და სად შეიძლება მათთან დაკავშირება.

კურსის კატალოგი გამოქვეყნებული უნდა იყოს დაწესებულების ვებ-გვერდზე და მასში სასწავლო კურსების/საგნების სახელწოდებები მოყვანილი უნდა იყოს ეროვნულ/რეგიონულ ენაზე და ინგლისურადაც, რათა დაინტერესებულმა პირებმა ადვილად შეძლონ ინფორმაციის მოპოვება. კურსის კატალოგი უნდა გამოქვეყნდეს საკმაოდ ადრე, რათა აბიტურიენტებს მიეცეთ არჩევანის გაკეთების საშუალება.

დაწესებულებამ თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კატალოგის ფორმატის, ისევე როგორც ინფორმაციის თანმიმდევრულობის შესახებ. თუმცა ქვემოთ წარმოდგენილი საერთო სტრუქტურის გამოყენებისას კურსის კატალოგი უფრო ადვილად შედარებადი და გამჭვირვალეა. ნებისმიერ შემთხვევაში, კურსის კატალოგი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაწესებულების, მისი რესურსებისა და

მომსახურების, აგრეთვე აკადემიური შინაარსის ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათი ცალკეული კომპონენტების შესახებ.

რეკომენდებული ელემენტები კურსის კატალოგისთვის

ზოგადი ინფორმაცია

- სახელწოდება და მისამართი
- დაწესებულების აღწერა (ტიპისა და სტატუსის მითითებით)
- აკადემიური სფეროს ხელმძღვანელობა
- სასწავლო პროცესის ვადები
- საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი
- პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები, მათ შორის უცხო ენის მოთხოვნა (არსებობის შემთხვევაში), რეგისტრაციის პროცედურები
- კრედიტების დაგროვების მიზნით მობილობისა და წინმსწრები (ფორმალური, არაფორმალური) განათლების აღიარების პროცედურები
- ECTS კრედიტების განაწილების პოლიტიკა (კრედიტების ინსტიტუციური ჩარჩო)
- აკადემიური ხელმძღვანელობის ორგანიზება

რესურსები და მომსახურება

- სტუდენტთა მომსახურების ოფისი
- სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი
- კვება
- ცხოვრების ღირებულება
- სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა
- სამედიცინო მომსახურება
- დაზღვევა
- ინფრასტრუქტურა/რესურსები სპეციალური საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის
- საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა
- საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები
- პრაქტიკული ინფორმაცია მობილური სტუდენტებისთვის
- უცხოური ენების კურსები
- პრაქტიკის შესაძლებლობები
- სპორტული და გასართობი ინფრასტრუქტურა
- სტუდენტური გაერთიანებები

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

- მისანიჭებელი კვალიფიკაცია
- პროგრამის ხანგრძლივობა
- კრედიტების მოცულობა
- კვალიფიკაციის დონე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად
- საგანმანათლებლო სფერო (მაგალითად, ISCED-F)
- პროგრამაზე ჩარიცხვის განსაკუთრებული წინაპირობები (არსებობის შემთხვევაში)
- წინმსწრები (ფორმალური, არაფორმალური) განათლების აღიარების განსაკუთრებული პირობები (არსებობის შემთხვევაში)
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები და რეგულაციები, კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობების ჩათვლით (არსებობის შემთხვევაში)
- პროგრამის პროფილი (იხ. სახელმძღვანელოს თავი პროგრამის შემუშავების შესახებ)
- პროგრამის სწავლის შედეგები
- პროგრამის სტრუქტურა კრედიტების მითითებით (60 კრედიტი სრული დატვირთვის აკადემიური წლისთვის)
- სწავლების ფორმა (დასწრებული/დაუსწრებელი/ელექტრონული სწავლება და სხვ.)
- საგამოცდო რეგულაციები და შეფასების სისტემა
- სავალდებულო ან არჩევითი „მობილობის ფანჯარა“ (არსებობის შემთხვევაში)
- პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
- პროგრამის ხელმძღვანელი ან მისი შესაბამისი პირი
- კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები
- სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები

ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში რეკომენდებულია რამდენიმე ელემენტის დამატება

- ინფორმაცია დიპლომის და დიპლომის დანართის ფორმის შესახებ (ერთობლივი/ორმაგი/მრავლობითი)
- კონსორციუმის წევრები და მათი როლი
- პროგრამის მობილობის სტრუქტურა

ინფორმაცია ცალკეული საგანმანათლებლო კომპონენტის შესახებ

- კოდი
- სახელწოდება
- ტიპი (სავალდებულო/არჩევითი)
- საფეხური (მოკლე/პირველი/მეორე/მესამე)
- სწავლების წელი/კომპონენტის განხორციელების დრო (არსებობის შემთხვევაში)
- კომპონენტის განხორციელების სემესტრი/ტრიმესტრი
- კრედიტების მოცულობა
- ლექტორის/ლექტორების სახელები
- სწავლის შედეგები
- განხორციელების ფორმა (პირისპირ, დისტანციური სწავლება და სხვ.)
- წინაპირობები და დამატებითი პირობები (არსებობის შემთხვევაში)
- კურსის შინაარსი
- რეკომენდებული ან სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა/ინსტრუმენტები
- დაგეგმილი სასწავლო აქტივობები და სწავლების მეთოდები
- შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები
- სწავლების ენა

7.2 ECTS და დამხმარე დოკუმენტები კრედიტების დაგროვების მიზნით მობილობისთვის

სასწავლო ხელშეკრულება განსაზღვრავს ოფიციალურ ვალდებულებებს სტუდენტს, გამგზავნ დაწესებულებას და მიმღებ დაწესებულებას/ორგანიზაციას/კომპანიას შორის განსახორციელებელი სასწავლო აქტივობების შესახებ.

სასწავლო ხელშეკრულებების დადასტურება და მათში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ელექტრონული ხელმოწერით ან ხელმოწერილი დოკუმენტის სკანირებით, ინსტიტუციური რეგულაციებისა და გამოცდილების შესაბამისად.

7.2.1 სასწავლო ხელშეკრულება კრედიტების დაგროვების მიზნით მობილური სტუდენტებისთვის

კრედიტების დაგროვების მიზნით მობილური სტუდენტებისთვის სასწავლო ხელშეკრულების რეკომენდებული ელემენტები:

- სტუდენტის სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია
- გამგზავნი და მიმღები დაწესებულებების აკადემიური და/ან ადმინისტრაციული საკონტაქტო პირების სახელები და მისამართები
- სტუდენტის საგანმანათლებლო სფერო გამგზავნ დაწესებულებაში (ISCED-F კოდები)
- სწავლის საფეხური (მოკლე/პირველი/მეორე/მესამე)
- მიმღებ დაწესებულებაში სწავლის პერიოდი (-დან... -მდე)
- სასწავლო პროგრამა საზღვარგარეთ: მიმღები დაწესებულების კურსების კატალოგის ლინკი, სტუდენტის მიერ გასავლელი საგანმანათლებლო კომპონენტების ჩამონათვალი (კოდებისა და ECTS კრედიტების მითითებით)
- გამგზავნი დაწესებულების საგანმანათლებლო კომპონენტები, რომელთა გავლისგანაც სტუდენტი თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ მან წარმატებით დაასრულა კომპონენტები საზღვარგარეთ; ან განაცხადი, რომ მობილობის პერიოდი მთლიანად იქნება აღიარებული (მაგალითად, როდესაც პროგრამით გათვალისწინებულია „მობილობის ფანჯარა“, ან როდესაც საზღვარგარეთ მობილობა აკადემიური ხარისხის მინიჭების აუცილებელი წინაპირობაა)
- სამი მხარის ხელმოწერა (სტუდენტი, გამგზავნი და მიმღები დაწესებულებების წარმომადგენლები)

7.2.2 პრაქტიკის სასწავლო ხელშეკრულება

სასწავლო ხელშეკრულება ასევე არსებითია პრაქტიკისთვის, როგორც სავალდებულო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო კომპონენტის ფარგლებში განსახორციელებელ სასწავლო აქტივობებს.

მიმღები ორგანიზაცია ვალდებულია, უზრუნველყოს სტუდენტი მისი სასწავლო პროგრამის შესაბამისი ხარისხიანი სამუშაო ადგილით, მკაფიოდ განსაზღვრული სწავლის შედეგებით, ხოლო პრაქტიკის დასრულების შემდეგ - პრაქტიკის სერტიფიკატით.

გამგზავნი დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს პრაქტიკის ხარისხი და რელევანტურობა, მონიტორინგი გაუწიოს სტუდენტის მოსწრებას, მოახდინოს კრედიტების აღიარება წარმატებით მიღწეული სწავლის შედეგებისთვის.

პრაქტიკის სასწავლო ხელშეკრულებას ხელი უნდა მოაწეროს სამმა მხარემ: სტუდენტმა, გამგზავნმა დაწესებულებამ და მიმღებმა ორგანიზაციამ/კომპანიამ.

პრაქტიკის სასწავლო ხელშეკრულების რეკომენდებული ელემენტები:

- სტუდენტის სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია
- გამგზავნი დაწესებულების და მიმღები ორგანიზაციის/კომპანიის საკონტაქტო პირების სახელები და მისამართები
- სტუდენტის საგანმანათლებლო სფერო გამგზავნ დაწესებულებაში (ISCED-F კოდები)
- სწავლის საფეხური (მოკლე/პირველი/მეორე/მესამე)
- მიმღები ორგანიზაციის ტიპი (კერძო/საჯარო და სხვ.)
- მიმღებ დაწესებულებაში გადამზადების ხანგრძლივობა და ECTS კრედიტები
- პრაქტიკის დასრულებისას მიღწეული სწავლის შედეგები
- პრაქტიკის პერიოდის დეტალური პროგრამა, ამოცანების მითითებით
- ყოველკვირეული სამუშაო საათების რაოდენობა
- სამუშაო ადგილის შესაბამისი უცხოური ენის კომპეტენცია, რომელსაც სტუდენტი უკვე ფლობს, ან თანახმაა, დაეუფლოს საზღვარგარეთ მობილობამდე (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში)
- მონიტორინგის საორგანიზაციო საკითხები და შეფასების გეგმა
- პრაქტიკის სასწავლო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის წესი
- გამგზავნ დაწესებულებაში კრედიტების აღიარების წესი
- სამი მხარის ხელმოწერა (სტუდენტი, გამგზავნი დაწესებულების და მიმღები ორგანიზაციის/კომპანიის წარმომადგენლები, პრაქტიკანტის ხელმძღვანელის ჩათვლით)

7.3 ნიშნების ფურცელი

ნიშნების ფურცელი გვაწვდის უახლეს ინფორმაციას სტუდენტის მოსწრების, კერძოდ, მის მიერ გავლილი საგანმანათლებლო კომპონენტების, დაგროვილი ECTS კრედიტების და მიღებული ქულების შესახებ.

ვინაიდან ნიშნების ფურცელი სასიცოცხლო მნიშვნელობის დოკუმენტია სტუდენტის მოსწრებისა და მისი მიღწევების აღიარებისთვის, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ვინ არის პასუხისმგებელი ნიშნების ფურცლის შემუშავებაზე, როგორ მზადდება და როგორ გაიცემა. დაწესებულებების უმრავლესობა ნიშნების ფურცელს შეიმუშავებს ინსტიტუციური მონაცემთა ბაზის საფუძველზე. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ნიშნების ფურცელი შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა კონტექსტში. აქედან გამომდინარე, ინფორმაცია მოწოდებული უნდა იყოს გამჭვირვალე, სრულყოფილი და მკაფიო ფორმით.

კრედიტების დაგროვების მიზნით მობილობის შემთხვევაში, მიმღები დაწესებულება ყველა მობილურ სტუდენტზე გასცემს ნიშნების ფურცელს. კერძოდ, უგზავნის მას მიმღებ დაწესებულებასა და სტუდენტს მისი სწავლის პერიოდის დასრულების შემდეგ, რათა ფორმალურად დაადასტუროს მობილობის პერიოდში სამუშაოს დასრულება,კრედიტების მინიჭება და ნიშნების მიღება. ნიშნების ფურცელი უნდა გაიგზავნოს მიმღებ დაწესებულებაში სტუდენტის ნიშნების გამოცხადებიდან გონივრულ და მოკლე პერიოდში (იხ. სახელმძღვანელოს თავი კრედიტების დაგროვების მიზნით მობილობისა და აღიარების შესახებ).

ნიშნების ფურცლის რეკომენდებული ელემენტები:

- სტუდენტის სახელი
- სტუდენტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და/ან საკონტაქტო მონაცემები (არსებობის შემთხვევაში)
- დაწესებულების სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია
- საგანმანათლებლო სფერო და/ან საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
- სწავლების წელი
- დაწესებულებაში გავლილი საგანმანათლებლო კომპონენტები (კოდების, კრედიტებისა და ნიშნების მითითებით)
- ინსტიტუციური შეფასების სისტემის აღწერა
- ინფორმაცია ქულების განაწილების შესახებ იდენტიფიცირებული რეფერენტული ჯგუფისთვის
- დოკუმენტის გაცემის თარიღი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

გამგზავნმა დაწესებულებამ სტუდენტის მხრიდან დამატებითი მოთხოვნების გარეშე, გონივრულ ვადაში უნდა გასცეს ნიშნების ფურცელი (ან მისი შესაბამისი დოკუმენტი/მონაცემთა ბაზა), რაც უზრუნველყოფს საზღვარგარეთ სწავლის პერიოდის შედეგების აღიარებას.

მობილობის დროს რეკომენდებულია ნიშნების ფურცელში აღინიშნოს სტუდენტის მშობლიურისაგანმანათლებლო პროგრამის რომელი კრედიტების ჩანაცვლება ხდება საზღვარგარეთ დაგროვილი კრედიტებითა და ნიშნებით.

მობილობის მთელი პერიოდის და არა ცალკეული კომპონენტების აღიარების დროს, გამგზავნმა დაწესებულებამ უნდა მოახდინოს კრედიტების, ნიშნების (მათი არსებობის შემთხვევაში) და სწავლის შედეგების დოკუმენტირება.

პრაქტიკის შემთხვევაში, გამგზავნი დაწესებულების ნიშნების ფურცელი უნდა შეიცავდეს იმ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია მობილობის პერიოდამდე სასწავლო ხელშეკრულებით შეთანხმებული აღიარების პროცედურისათვის. ეს შეიძლება გულისხმობდეს კრედიტების და ქულების გარკვეული რაოდენობის მინიჭებას და სხვ.

7.4 პრაქტიკის სერტიფიკატი

პრაქტიკის სერტიფიკატი მიზნად ისახავს მეტი ღირებულება შესძინოს სტუდენტის პრაქტიკას და უზრუნველყოს მისი გამჭვირვალობა. პრაქტიკის სერტიფიკატს გასცემს მიმღები ორგანიზაცია/საწარმო პრაქტიკანტის მიერ პრაქტიკის დასრულების შემდეგ. მას შეიძლება თან ახლდეს სხვა დოკუმენტებიც, როგორიცაა, მაგალითად, სარეკომენდაციო წერილები.

პრაქტიკის სერტიფიკატის რეკომენდებული ელემენტები:

- სტუდენტის სახელი
- ორგანიზაციის/საწარმოს სახელწოდება
- ორგანიზაციის/საწარმოს საკონტაქტო ინფორმაცია [ქუჩა, ქალაქი, ქვეყანა, ტელეფონი, ელფოსტა, ვებგვერდი]
- ორგანიზაციის/საწარმოს ტიპი (კერძო/საჯარო/მესამე სექტორი და სხვ.)
- პრაქტიკის დასაწყისი და დასასრული
- პრაქტიკის დეტალური პროგრამა, ამოცანების ჩამონათვალი
- შეძენილი ცოდნა, უნარები (ინტელექტუალური და პრაქტიკული) და კომპეტენციები (მიღწეული სწავლის შედეგები)
- სტუდენტის საქმიანობის შეფასება
- დოკუმენტის გაცემის თარიღი, მიმღები ორგანიზაციის/საწარმოს პასუხისმგებელი პირის სახელი და ხელმოწერა

მადლობა სახელმძღვანელოს შემუშავებაში მონაწილეობისათვის

მოცემული სახელმძღვანელო უკანასკნელ წლებში ბოლონიის პროცესის ფარგლებში მონაწილე ცალკეული სახელმწიფოების მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი სამუშაოს საფუძველზე შეიქმნა. წარმოაუდგენელია ამ პროცესში მონაწილე ორგანიზაციებისა თუ პირების დამსახურების ცალკე გამოყოფა.

ევროკომისიას სურს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადოს ECTS-ის სახელმძღვანელოზე მომუშავე ჯგუფს (Ad-hoc working group) შეტანილი წვლილისა და მხარდაჭერისათვის. სამუშაო ჯგუფი შედგებოდა უმაღლესი განათლების ერთიანი სივრცის ქვეყნებისა და მონაწილე ორგანიზაციების მიერ დასახელებული პირებისაგან.

Ivan Babyn (Ukraine)

Tim Birtwistle (United Kingdom) Regine Bolter (Austria)

Howard Davies (European University Association – EUA)

Béatrice Delpouve (France) Roza Dumbraveanu (Moldova) Luc François (Belgium)

Volker Gehmlich (Germany)

Nerses Gevorgyan (Armenia) Judit Hidasi (Hungary)

Maria Kelo (European Association for Quality Assurance in Higher Education – ENQA)

Eliane Kotler (France)

Sandra Kraze (European Association of Institutions in Higher Education – EURASHE)

Janerik Lundquist (Sweden)

Raimonda Markeviciene (Lithuania)

Lene Oftedal (Norway)

John Reilly (United Kingdom)

Maria Sticchi Damiani (Italy)

Anthony Vickers (United Kingdom)

Nevena Vuksanovic (European Students Union – ESU)

Robert Wagenaar (The Netherlands)

დანართი 1

ტერმინები

კრედიტების დაგროვება
ფორმალურ გარემოში სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევისთვის ან არაფორმალურ გარემოში სხვა საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებისთვის მინიჭებული კრედიტების დაგროვების პროცესი. სტუდენტს შეუძლია დააგროვოს კრედიტები კვალიფიკაციის მოპოვების მიზნით, როგორც ამას მოითხოვს კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულება, ან საკუთარი მიღწევების დასადასტურებლად მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის მიზნებისთვის.

კრედიტების განაწილება
კვალიფიკაციებისათვის, კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამებისათვის ან ცალკეული საგანმანათლებლო კომპონენტებისათვის კრედიტების მინიჭების პროცესი. კრედიტები ნაწილდება მთლიან კვალიფიკაციაზე ან პროგრამაზე ეროვნული კანონმდებლობის ან პრაქტიკის შესაბამისად და ეროვნული და/ან ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს გათვალისწინებით. კრედიტები ნაწილდება საგანმანათლებლო კომპონენტებზე, როგორიცაა სასწავლო კურსების ერთობლიობა, დისერტაციები, პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლა და პრაქტიკა, დასწრებული სასწავლო წლისთვის 60 კრედიტის განაწილების საფუძველზე, თითოეული კომპონენტისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო საშუალო დატვირთვის შესაბამისად.

შეფასების მეთოდები
წერილობითი, ზეპირი, ზეპირი და პრაქტიკული ტესტების/ გამოცდების, პროექტების, წარმოდგენების, პრეზენტაციებისა და პორტფოლიოების მთელი რიგი, რომელიც გამოიყენება სტუდენტის პროგრესის შესაფასებლად და საგანმანათლებლო კომპონენტის (კურსი/მოდული) სწავლის შედეგების მიღწევის დასადგენად.

შეფასების კრიტერიუმები
სტუდენტის მოლოდინის აღწერა იმის შესახებ, თუ რა უნდა შეასრულოს სტუდენტმა და რა დონეზე, რომ წარმოადგინოს სწავლის შედეგების მიღწევა.
საგანმანათლებლო კომპონენტის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები უნდა იყოს იმ სწავლის შედეგების შესაბამისი და თავსებადი, რომლისთვისაც ისინი განისაზღვრა, აგრეთვე იმ სასწავლო აქტივობებისა, რომელიც განხორციელდა.

კრედიტების მინიჭება
ფორმალური აქტი, რომლითაც სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან, რომ კრედიტები მინიჭებული იქნება კვალიფიკაციებისა და/ან იმ კომპონენტებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიაღწევენ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს, თუ რომელ დაწესებულებებს აქვთ ECTS კრედიტების მინიჭების

უფლება. კრედიტები სტუდენტებს ენიჭება ინდივიდუალურად მას შემდეგ, რაც ისინი შეასრულებენ სასწავლო აქტივობებს და მიაღწევენ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, რაც ასახულია შესაბამის შეფასებებში. თუ სტუდენტებმა სწავლის შედეგებს მიაღწიეს სხვა ფორმალურ ან არაფორმალურ სასწავლო გარემოში ან დროის სხვა მონაკვეთში, კრედიტები შეიძლება მიენიჭოს ამ სწავლის შედეგების აღიარებისა და შეფასების გზით.

კომპეტენცია

ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო კომპეტენციას განსაზღვრავს როგორც ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას, უნარებს და პერსონალურ, სოციალურ და/ან მეთოდოლოგიურ შესაძლებლობებს მუშაობის ან სწავლის დროს და პროფესიულ და პერსონალურ განვითარებაში. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს კონტექსტში კომპეტენცია აღწერილია პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის თვალსაზრისით. კომპეტენციის გამომუშავება ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია. კომპეტენციები ვითარდება ყველა სასწავლო კურსით და ფასდება პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე. კომპეტენციების ნაწილი დარგთან დაკავშირებულია (სპეციფიუკრი სასწავლო დარგის მიხედვით), ხოლო ნაწილი - ზოგადი (საერთო ყველა სასწავლო კურსისთვის). ჩვეულებრივ კომპეტენციის განვითარება ინტეგრირებულია და მთელი პროგრამის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს.

უწყვეტი პროფესიული განვითარება

მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ასპექტი ხშირად უწყვეტ პროფესიულ განათლებას უკავშირდება. უწყვეტი პროფესიული განვითარება აღწერს უნარებს, ცოდნასა და გამოცდილებას, რომელსაც პირი ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში მუშაობისას იღებს და რომელიც ეფუძნება მის ძირითად კვალიფიკაციასა და ტრენინგს. პროფესიულ და ტექნიკურ კარიერაში თანდათან იზრდება სწავლის გაგრძელებისა და საკარიერო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარების მოთხოვნა იმ მიზნით, რომ დასაქმებულმა მიიღოს თანამედროვე ცოდნა და შეძლოს უსაფრთხო, ლეგალური და ეფექტური მუშაობა. უწყვეტი პროფესიული განათლება პროფესიული მოთხოვნაა და ის აღიარებული და დამტკიცებულია. დამსაქმებლები უფრო მეტად ითხოვენ პირის უწყვეტი პროფესიული განათლების ფორმალურ ავთენტურ ჩანაწერს და ის კურიკულუმის მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება.

სასწავლო კურსების კატალოგი

სასწავლო კურსების კატალოგი შეიცავს დეტალურ, ადვილად გამოსაყენებელ და განახლებულ ინფორმაციას დაწესებულების სასწავლო გარემოს შესახებ (ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, რესურსები და სერვისები, ინფორმაცია სასწავლო პროგრამებისა და ცალკეული საგანმანათლებლო კომპონენტების შესახებ), რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტუდენტებისთვის სწავლის დაწყებამდე და სწავლის განმავლობაში, რათა მათ სწორი არჩევანის გაკეთებისა და დროის ეფექტურად გამოყენების საშუალება მიეცეს.

სასწავლო კურსების კატალოგი გამოქვეყნებული უნდა იყოს დაწესებულების ვებ-გვერდზე. მასში მითითებული უნდა იყოს სასწავლო კურსის/საგნის სახელწოდება

მშობლიურ (ან რეგიონალურ ენაზე, არსებობის შემთხვევაში) და ინგლისურ ენებზე, რათა ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის. დაწესებულება თავისუფალია თავად გადაწყვიტოს კატალოგის ფორმატი და ინფორმაციის თანმიმდევრობა. კატალოგი წინასწარ უნდა იყოს გამოქვეყნებული, რათა პოტენციურმა სტუდენტებმა გააკეთონ არჩევანი.

სასწავლო კურსის ერთეული

სწავლების დამოუკიდებელი, ფორმალურად სტრუქტურირებული სასწავლო გამოცდილება. მას უნდა ჰქონდეს თანმიმდევრული და დეტალური სწავლის შედეგები, განსაზღვრული სასწავლო აქტივობები, რომელიც შეთანხმებულია კურიკულუმის ფარგლებში განაწილებულ დროსთან და შესაბამის შეფასების კრიტერიუმებთან.

კრედიტი (ECTS)

ECTS კრედიტი გამოხატავს სწავლის ხანგრძლივობას, რომელიც ეფუძნება განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და მათთან დაკავშირებულ სასწავლო დატვირთვას. 60 ECTS კრედიტი განაწილებულია დასწრებული სწავლების ან მისი ექვივალენტური ერთი სასწავლო წლის სწავლის შედეგებსა და შესაბამის სასწავლო დატვირთვაზე, რაც ჩვეულებრივ მოიცავს სხვადასხვა სასწავლო კომპონენტს, რომელზეც კრედიტებია (სწავლის შედეგებისა და სასწავლო დატვირთვის საფუძველზე) განაწილებული. ECTS კრედიტები ჩვეულებრივ მთელი რიცხვებით გამოიხატება.

მობილობა კრედიტების დაგროვების მიზნით

გაცვლითი სტუდენტის მობილობა, რომელიც მასპინძელ უნივერსიტეტში იმყოფება გარკვეული პერიოდით, რომლის განმავლობაშიც მას შეუძლია განხორციელებულ აქტივობებში მიიღოს კრედიტები, რომელიც აღიარებული იქნება მშობლიურ უნივერსიტეტში.

კრედიტების ტრანსფერი

პროცესი, რომელიც საშუალებას იძლევა ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კრედიტების მიმნიჭებელი ორგანოს მიერ მინიჭებული კრედიტები აღიარებული და ჩათვლილი იყოს სხვა დაწესებულების პროგრამის საჭიროებისთვის; ან საშუალებას იძლევა ცალკეული პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტები გამოყენებულ იყოს სხვა პროგრამის საჭიროებისათვის.

საფეხური

1999 წ. ბოლონიის პროცესის დეკლარაციის ერთ-ერთი ამოცანაა „ორ ძირითად საფეხურზე (დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი) დაფუძნებული სისტემის შემოღება“. 2013 წ. ბოლონიის სტრუქტურაში ჩართულ იქნა სადოქტორო სწავლება და ის მესამე საფეხურად განისაზღვრა. შესაბამისად, უმაღლესი განათლების ევროპულმა სივრცემ უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი იერარქია განსაზღვრა (პირველი საფეხური, მეორე საფეხური, მესამე საფეხური).

საფეხურის (დონის) აღმწერები (დესკრიპტორები)
თითოეული საფეხურისათვის მოსალოდნელი შედეგების ზოგადი განაცხადი. ზოგადი საფეხურის (დონის) აღმწერების კარგი მაგალითია ე. წ. დუბლინის დესკრიპტორები, რომელიც წარმოადგენს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს ერთ-ერთ საფუძველს (ECTS-თან ერთად).

მობილობა აკადემიური ხარისხის მოპოვების მიზნით
სასწავლო მობილობა აკადემიური ხარისხის მიზნებისთვის მაშინაც კი, როდესაც პროგრამის მხოლოდ ნაწილია გავლილი საზღვარგარეთ, ერთობლივად განხორციელებული ან ერთობლივი ხარისხის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში (Mapping University Project, 2015).

აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი პროგრამა
სასწავლო კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც ყველა მოთხოვნის წარმატებული შესრულების შემთხვევაში სტუდენტს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს.

დიპლომის დანართი
დიპლომის დანართი არის დოკუმენტი, რომელიც თან ახლავს უმაღლესი განათლების დიპლომს და წარმოადგენს მფლობელის მიერ დასრულებული სწავლის სახეს, საფეხურს, კონტექსტს, შინაარსსა და სტატუსს. ის გაიცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ევროპის კომისიის, იუნესკოს ევროპის საბჭოს შეთანხმებული ფორმით. დიპლომის დანართი არის ევროპასის ჩარჩოს გამჭვირვალობის მექანიზმების ნაწილი.
ის მოიცავს ინფორმაციის შემდეგ რვა განყოფილებას:

- კვალიფიკაციის მფლობელი
- კვალიფიკაცია
- კვალიფიკაციის დონე და მისი ფუნქცია
- შინაარსი და მიღწეული შედეგები
- დანართის სერტიფიცირება
- ინფორმაცია უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის შესახებ (წარმოდგენილი აკადემიური აღიარების ეროვნული საინფორმაციო ცენტრების (NARIC) მიერ)
- სხვა დამატებითი ინფორმაცია

იმ ქვეყნების კურსდამთავრებულები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ბოლონიის პროცესში, უფლებამოსილნი არიან ავტომატურად უფასოდ მიიღონ დიპლომის დანართი ძირითად ევროპულ ენაზე.

დუბლინის დესკრიპტორები
დუბლინის დესკრიპტორები - საფეხურის დესკრიპტორები (ან „დონის დესკრიპტორები“) წარმოდგენილ იქნა 2003 წელს და დამტკიცდა 2005 წელს ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოდ. ის (ბოლონიის პროცესის) თითოეული საფეხურის ან დონის დასრულების აღმნიშვნელ კვალიფიკაციასთან ასოცირებული მიღწევებისა და შესაძლებლობების შესახებ

ტიპიური მოლოდინის ზოგად განაცხადს წარმოადგენს. დესკრიპტორები გადმოცემულია კომპეტენციის დონეებით და არა სწავლის შედეგებით და საშუალებას გვაძლევს ფართო და ზოგადი ხასიათით ერთმანეთისგან განვასხვავოთ სხვადასხვა საფეხური. დონის დესკრიპტორი მოიცავს შემდეგ ხუთ კომპონენტს:

- ცოდნა და გაცნობიერება
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და გაცნობიერება
- დასკვნების გაკეთება
- კომუნიკაცია
- სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში

ERASMUS+

ევროკავშირის 2014-2020 წწ. პროგრამა განათლების, ტრენინგის, ახალგაზრდობისა და სპორტისთვის (N 1288/2013 რეგულაცია (EU)).

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS)

სტუდენტზე ორიენტირებული სისტემა კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერისათვის, რომელიც ეფუძნება სწავლის, სწავლებისა და შეფასების პროცესის გამჭვირვალეობის პრინციპს. მისი მიზანია გაამარტივოს სასწავლო პროგრამების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება და სტუდენტთა მობილობა სწავლის მიღწევების, კვალიფიკაციებისა და ხანგრძლივობის აღიარების გზით.

ევროპული კრედიტების სისტემა პროფესიული განათლებისათვის (ECVET)

პროფესიული განათლების ევროპული კრედიტების სისტემის (ECVET) მიზანია შექმნას სწავლის შედეგების ტრანსფერის, აღიარებისა და დაგროვების შესაძლებლობა კვალიფიკაციის მოპოვების მიზნით. ეს არის დეცენტრალიზებული სისტემა, რომელიც ეფუძნება წევრი სახელმწიფოების და პროფესიული ტრეინინგის დაინტერესებული მხარეების მოხალისეობრივ მონაწილეობას ეროვნული კანონმდებლობისა და რეგულაციების გათვალისწინებით. ის იძლევა მეთოდოლოგიურ ჩარჩოს კვალიფიკაციების აღსაწერად სწავლის შედეგების საშუალებითა და ერთეულების გამოყენებით და საშუალებას აძლევს წევრ სახელმწიფოებს გადაწყვიტონ ტრანსფერული საკითხები სხვადასხვა საგანმანათლებლო და კვალიფიკაციების ჩარჩოების მეშვეობით. ECVET ეფუძნება პარტნიორთა შეთანხმებებს კვალიფიკაციების გამჭვირვალობისა და დაინტერესებული მხარეების ურთიერთნდობის გათვალისწინებით (ECVET, 2010).

სასწავლო კომპონენტი

სწავლების დამოუკიდებელი, ფორმალურად სტრუქტურირებული სასწავლო გამოცდილება (როგორიცაა: კურსის ერთეული, მოდული, პრაქტიკა).

ევროპას მობილობა

ევროპასი არის ხუთი დოკუმენტის ერთობლიობა (CV, ენების პასპორტი, ევროპას მობილობა, სერტიფიკატის დანართი, დიპლომის დანართი), რომელიც მიზნად ისახავს უნარებისა და კვალიფიკაციების მკაფიოდ და ადვილად გაგებას ევროპაში.

ევროპას მობილობა არის დოკუმენტი, რომელშიც იწერება ევროპულ ქვეყანაში მიღებული ცოდნა და უნარები, რომელიც ივსება პირის მობილობაში მონაწილე დაწესებულებების მიერ (გამგზავნი და მიმღები დაწესებულებები).

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე (EHEA)
უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე (EHEA) შეიქმნა ბოლონიის პროცესის ათი წლის იუბილეზე 2010 წ. მარტში ბუდაპეშტი-ვენას მინისტერიალის კონფერენციის მსვლელობისას. ის ეფუძნება ბოლონიის პროცესის ძირითად მიზანს (1999 წ. მისი დაწყების დღიდან) და გულისხმობს ევროპაში უმაღლესი განათლების უფრო მეტად შესადარი, თავსებადი, გასაგები და მიმზიდველი სისტემების უზრუნველყოფას.

ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო უწყვეტი განათლებისთვის (EQF)
ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო უწყვეტი განათლებისთვის არის ზოგადი ევროპული ჩარჩო, რომელიც საშუალებას აძლევს ევროკავშირის ქვეყნებს ერთმანეთს დაუკავშირონ მათი საკვალიფიკაციო სისტემები. ის დამტკიცებულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს მიერ 2008 წ. 23 აპრილს. ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო უწყვეტი განათლებისთვის (EQF) იყენებს რვა დონეს, რომელიც ეფუძნება ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით აღწერილ სწავლის შედეგებს. მისი ფოკუსი შიგთავსიდან (სასწავლო გამოცდილების ხანგრძლივობა, დაწესებულების სახე) გადატანილია იმაზე, თუ რა იცის და რისი გაკეთება შეუძლია ცალკეული კვალიფიკაციის მფლობელ პირს. ის კვალიფიკაციებს ადვილად აღსაქმელსა და გასაგებს ხდის ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნისა და სისტემის მასშტაბით.

მოქნილობა
უკავშირდება საზომს, რომლითაც უმაღლესი განათლება უფრო მოქნილი ხდება. ამ კონცეფციის იდეაა ღია გახადოს უმაღლესი განათლება უფრო მეტი ადამიანისთვის და გაზარდოს მრავალრიცხოვანი ქვეყნებისთვის თანამედროვე საზოგადოებაში ადაპტირებულობის ხარისხი. ის ასევე გულისხმობს მოქნილობას პროგრამის/კურიკულუმის დიზაინსა და სწავლისა და სწავლების მიდგომებში.

ფორმალური განათლება
განათლება, რომელსაც ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სტრუქტურირებულია (განათლების მიზნების, განათლების ხანგრძლივობის და განათლების ხელშეწყობის გაგებით) და სრულდება სერტიფიცირებით. ფორმალური განათლება სწავლის მსურველის პერსპექტივიდან წინასწარ განზრახულია.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო (QF-EHEA)
უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში კვალიფიკაციების ჩარჩო ორ დონეზეა შექმნილი. ძირითადი ჩარჩო (QF-EHEA) დამტკიცდა 2005 წ. და ყველა წევრმა ქვეყანამ დაისახა მიზნად ჩამოეყალიბებინა კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო, რომელიც თავსებადი იქნებოდა ძირითად ჩარჩოსთან.
უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო მოიცავს უმაღლესი განათლების სისტემის ყველა კვალიფიკაციას. ის მოცემული კვალიფიკაციისათვის

წარმოადგენს მოსალოდნელ სწავლის შედეგებს და იმას, თუ როგორ შეუძლიათ კვალიფიკაციებს შორის მოძრაობა სწავლის მსურველებს.
QF-EHEA-ს მიზანია უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციები მოათავსოს ძირითად ევროპულ კვალიფიკაციების ჩარჩოში. ამ ჩარჩოში კვალიფიკაციები განაწილებულია კომპლექსურობისა და სირთულის დონეების შესაბამისად (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი).
QF-EHEA განსაზღვრავს ოთხ ძირითად საფეხურს, რომელიც აღწერილია „დუბლინის დესკრიპტორებით". ისინი წარმოადგენს თითოეული საფეხურის დასრულების აღმნიშვნელ კვალიფიკაციასთან ასოცირებული მიღწევებისა და შესაძლებლობების შესახებ ტიპიური მოლოდინის ზოგად განაცხადს. მოკლე ციკლი, პირველი და მეორე საფეხურები აგრეთვე დახასიათებულია კრედიტების დიაპაზონით.

მობილური სტუდენტი (Free mover)
სტუდენტი, რომელიც მონაწილეობს მობილობაში (კრედიტების დაგროვების მიზნით) ორგანიზებული მობილობის პროგრამის ფარგლებს გარეთ (მაგ.: ERASMUS+). მობილური სტუდენტი ირჩევს მასპინძელ დაწესებულებას და გადააქვს საკუთარი კრედიტები მიმღებ დაწესებულებაში.

ნიშნების განაწილების ცხრილი
ნიშნების განაწილების ცხრილი აჩვენებს, თუ როგორ გამოიყენება არსებული ეროვნული ან ინსტიტუციური სკალა დაწესებულებაში - ღია წვდომით თუ სელექციური სისტემებით - და იძლევა პარალელური ჯგუფის ან სხვა დაწესებულების ნიშნების სტატისტიკურ განაწილებასთან შედარების საშუალებას. ის წარმოადგენს დადებითი ნიშნების („ჩააბარა" და ზევით) სტატისტიკურ განაწილებას კონკრეტულ დაწესებულებაში სწავლების თითოეულ დარგში.

თვითგანათლება
სწავლა, რომელიც მუშაობასთან, საოჯახო ან თავისუფალი დროის საქმიანობასთან დაკავშირებული ყოველდღიური აქტივობების შედეგია, რომელიც არაა ორგანიზებული ან სტრუქტურირებული მიზნების, ხანგრძლივობის ან სწავლის ხელშეწყობის გაგებით. სწავლის მსურველის პერსპექტივიდან ის შეიძლება არ იყოს წინასწარ განზრახული. არაფორმალური განათლებით მიღწეული სწავლის შედეგების მაგალითებია: ცხოვრებისეული და სამუშაო გამოცდილებით შეძენილი უნარები, პროექტის მენეჯმენტის უნარები, სამსახურში შეძენილი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარები, სხვა ქვეყანაში ყოფნისას შეძენილი კულტურათაშორისი უნარები, სამსახურის გარეთ შეძენილი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარები, მოხალისეობისას, კულტურული აქტივობისას, სპორტში, ახალგაზრდებთან მუშაობაში და სახლში შეძენილი უნარები (მაგ.: ბავშვის მოვლა) (საბჭოს რეკომენდაციები 2012/C398/01).

ერთობლივი ხარისხი
ერთი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია ერთობლივი პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ და სახელმწიფოს მიერ დამოწმებულია როგორც ერთობლივი პროგრამის აღიარებული დიპლომი (EQAR, 2015).

ერთობლივი პროგრამა
ინტეგრირებული კურიკულუმი, რომელიც ერთობლივადაა შემუშავებული და შეთავაზებული სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ და სრულდება ორმაგი/მრავლობითი ხარისხის ან ერთობლივი ხარისხის მინიჭებით.

მოსწავლე (პირი, რომელიც სწავლობს)
პირი, რომელიც ჩართულია სასწავლო პროცესში (ფორმალური, არაფორმალური სწავლა). სტუდენტები არიან ფორმალურ უმაღლეს განათლებაში ჩართული პირები.

სასწავლო ხელშეკრულება
მობილობაში ჩართული სამი მხარის - სტუდენტი, გამგზავნი დაწესებულება და მიმღები დაწესებულება ან ორგანიზაცია/საწარმო - ფორმალური შეთანხმება, რომელიც ამარტივებს კრედიტების მობილობასა და აღიარებას. ხელშეკრულება ხელმოწერილი უნდა იყოს სამივე მხარის მიერ მობილობის პერიოდის დაწყებამდე და მიზნად ისახავს მისცეს სტუდენტს თანხმობა, რომ მის მიერ მობილობის პერიოდში წარმატებით მიღწეული კრედიტები იქნება აღიარებული.

სასწავლო მობილობა
სასწავლო მობილობა ჩვეულებრივ ნიშნავს ფიზიკურ მობილობაში ჩართვას, როდესაც სწავლის მსურველი/სტუდენტი გადაადგილდება სხვა ქვეყნის დაწესებულებაში სრული სასწავლო პროგრამის ან მისი ნაწილის გასავლელად. ამგვარი მობილობის უმეტესი ნაწილი დაგეგმილი და ორგანიზებული პროგრამების ფარგლებში ხორციელდება. ამგვარი მობილობის კრედიტები ფორმალურად აღიარებულია გამგზავნი დაწესებულების მიერ.
არსებობს „თავისუფალი“ მობილობის მცირე რაოდენობაც, რაც ინდივიდუალურ ინიციატივას უკავშირდება.
ფიზიკურ მობილობასთან ერთად სწავლის მსურველთათვის თანდათან იზრდება ვირტუალურ მობილობაში მონაწილეობის შესაძლებლობაც. ამ ტიპის მობილობაც შესაძლოა ორგანიზებული იყოს ერთობლივი ან საზიარო კურიკულუმის ფარგლებში ან ღია უნივერსიტეტების, ღია საგანმანათლებლო რესურსების, MOOC-ის და სხვა ონლაინ მასალების მეშვეობით.

სწავლის შედეგი
განაცხადი, თუ რა იცის, რა ესმის და რისი გაკეთება შეუძლია პირს სწავლის პროცესის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგების მიღწევა შეფასებული უნდა იყოს მკაფიო და გამჭვირვალე კრიტერიუმების საშუალებით. სწავლის შედეგები მიკუთვნებულია ცალკეული საგანმანათლებლო კომპონენტებისთვის და მთლიანი პროგრამისათვის.

ისინი ასევე გამოიყენება ევროპულ და ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოებში ცალკეული კვალიფიკაციის დონის აღსაწერად.

სწავლის მიმართულება
სწავლის მიმართულება არის ორიენტირი, რომელსაც იღებს სტუდენტი და რომელიც საშუალებას აძლევს მას მიიღოს ცოდნა პროგრესულად და შეიძინოს საჭირო კომპეტენციების ერთობლიობა. სწავლის მიმართულება შეიძლება ნაჩვენები იყოს დაწესებულების გზამკვლევისა და რეგულაციების მეშვეობით (მათ შორის წინა ცოდნისა და გამოცდილების აღიარების გზით) და სწავლის სხვადასხვა მიმართულება შეიძლება დასრულდეს მსგავსი კვალიფიკაციის მინიჭებით. სწავლის მიმართულების კონცეფციის გაგება ხაზს უსვამს სტუდენტის არჩევანს სასწავლო მიზნების მიღწევაში.

დონის აღმწერები (დესკრიპტორები)
იხ. „საფეხურის (დონის) აღმწერები (დესკრიპტორები)“ და „დუბლინის დესკრიპტორები“.

სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში
ცხოვრების მანძილზე განხორციელებული ყველა სასწავლო აქტივობა, რომელიც მიზნად ისახავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას პერსონალური, საზოგადოებრივი, სოციალური და/ან დასაქმებასთან დაკავშირებული პერსპექტივიდან (Communication (2001) 678).
უმაღლესი განათლების სექტორში მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობის პროგრამები და სერვისები სხვა აქტივობებსა და ინიციატივებს შორის შეიძლება მოიცავდეს ძირითად პროგრამებს, უწყვეტ განათლებას, საღამოს სკოლებს, დაუსწრებელი სწავლების სპეციფიკურ პროგრამებს, ბიბლიოთეკებზე/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რესურსებზე წვდომას, დისტანციურ სწავლებას, ტრეინინგებს, მიზნობრივ ხელმძღვანელობას, საკონსულტაციო სერვისებს.

მასიური ღია ონლაინ კურსები (MOOC)
კურსები, რომლებზეც დაშვება და დარეგისტრირება ღიაა და ხორციელდება ონლაინ. ამგვარ კურსებზე ჩარიცხულთა სია ხშირად საკმაოდ გრძელია.

მობილობის ფანჯარა
მობილობის ფანჯარა არის დროის ის პერიოდი, რომელიც განკუთვნილია სტუდენტების საერთაშორისო მობილობისთვის, რაც ჩასმულია სასწავლო პროგრამის კურიკულუმში.

მოდული
სასწავლო კურსის ერთეული ისეთ სისტემაში, სადაც კურსის თითოეული ერთეული მოიცავს კრედიტების ერთსა და იმავე რაოდენობას ან მის ჯერადს.

კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო (NQF)

კვალიფიკაციების კლასიფიკაციის საშუალება მიღწეული სწავლის სპეციფიკური დონეებისთვის კრიტერიუმების ერთობლიობის შესაბამისად, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული კვალიფიკაციების ქვესისტემების ინტეგრირებას და კოორდინირებას და კვალიფიკაციების გამჭვირვალეობის, დაშვების, პროგრესის და ხარისხის გაუმჯობესებას შრომის ბაზართან და სამოქალაქო საზოგადოებასთან კავშირში (საბჭოს რეკომენდაცია 2012/C 398/01).

კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოები მოიცავს განათლების სისტემაში არსებულ ყველა საგანმანათლებლო კვალიფიკაციას, ან ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო კვალიფიკაციას (ქვეყნის პოლიტიკიდან გამომდინარე). ისინი აჩვენებს, თუ რა უნდა იცოდეს პირმა, რა უნდა ესმოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს მინიჭებული კვალიფიკაციის (სწავლის შედეგების) საფუძველზე, ასევე, როგორ არის დაკავშირებული კვალიფიკაციები სისტემაში, როგორ შეუძლია სწავლის მსურველს განათლების სისტემაში კვალიფიკაციებს შორის მოძრაობა.

კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოები ყალიბდება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლებთან, თანამშრომლობით.

არაფორმალური განათლება

განათლება, რომელიც დაგეგმილი აქტივობების (სწავლის მიზნების, სწავლის ხანგრძლივობის გაგებით) დროსაა მიღებული, სადაც არსებობს სწავლის ხელშეწყობის რაღაც ფორმა (მაგ.: მოსავლე-მასწავლებლის ურთიერთობა). ის შეიძლება მოიცავდეს მოზარდთა წიგნიერების, სკოლიდან ნაადრევად გასულთა განათლების სასწავლო პროგრამებს. არაფორმალური განათლების ხშირად გავრცელებული შემთხვევაა კომპანიის შიდა ტრეინინგები, როდესაც კომპანიები აუმჯობესებენ თანამშრომელთა ისეთ უნარებს, როგორიცაა საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, სტრუქტურირებული ონლაინ სწავლება (ღია საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით), აგრეთვე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ თავიანთი წევრებისათვის, სამიზნე ჯგუფისთვის ან ფართო საზოგადოებისთვის ორგანიზებული კურსები.

ღია საგანმანათლებლო რესურსები

მასწავლებლებისთვის, სტუდენტებისთვის, თვითშემსწავლელთათვის უფასოდ და ღიად შეთავაზებული ციფრული მასალები, რომლებიც გამოიყენება სწავლის, სწავლებისა და კვლევისთვის. ისინი მოიცავს სასწავლო შინაარსს, პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებს შინაარსის შემუშავების, გამოყენებისა და გავრცელებისთვის და იმპლემენტაციის რესურსებს, როგორიცაა ღია ლიცენზიები. ღია საგანმანათლებლო რესურსები ასევე მიმართავს დაგროვილ ციფრულ აქტივებს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს და რომელიც სარგებელს აძლევს სხვას და არ ზღუდავს სხვებისთვის მათი გამოყენების შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამა
სასწავლო კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც ეფუძნება სწავლის შედეგებს და რომელიც აღიარებულია კვალიფიკაციის მისანიჭებლად.

წინსვლა (პროგრესი)
პროცესი, რომელიც სწავლის მსურველს საშუალებას აძლევს გადაინაცვლოს კვალიფიკაციის ერთი საფეხურიდან მეორეზე და დაშვებულ იქნეს იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელიც ამზადებს იმაზე უფრო მაღალი დონის კვალიფიკაციისთვის, რომელსაც ის ამჟამად ფლობს.

წინსვლის (პროგრესის) წესები
წესების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს სწავლის მსურველთა პროგრესის პირობებს კვალიფიკაციების შიგნით და სხვა კვალიფიკაციებთან მიმართებაში.

კვალიფიკაცია
ნებისმიერი ხარისხი, დიპლომი ან სერტიფიკატი, გაცემული კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომელიც ადასტურებს აღიარებული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებას.

ხარისხის უზრუნველყოფა
სახელმწიფო და ინსტიტუციურ დონეზე დამტკიცებული პროცესი ან პროცესთა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებისა და მინიჭებული კვალიფიკაციების ხარისხს.
ხარისხის უზრუნველყოფამ უნდა უზრუნველყოს სასწავლო გარემო, რომელშიც საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი, სწავლის შესაძლებლობა და საშუალება შეესაბამება მიზანს. ხარისხის უზრუნველყოფა ხშირად უკავშირდება უწყვეტი განვითარების ციკლის კონტექსტს (მაგ.: უზრუნველყოფისა და განვითარების აქტივობები).

აღიარება (აკადემიური აღიარება)
ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (იმავე ქვეყნის ან უცხოური) კურსების, კვალიფიკაციების, დიპლომების მიღება მეორე უსდ-ს მიერ სტუდენტების მიღებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების მიზნით.
აკადემიური აღიარება ასევე შეიძლება მოხდეს სხვა უსდ-ში აკადემიური კარიერისთვის და ზოგიერთ შემთხვევაში შრომის ბაზარზე სხვა სახის დასაქმებისთვის (აკადემიური აღიარება პროფესიული მიზნებისთვის). რაც შეეხება უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეს, აღიარების სამი ძირითადი დონე და მასთან დაკავშრებული საშუალებები შეიძლება გამოიყოს (როგორც ეს წარმოდგენილია ლისაბონის კონვენციითა და ბოლონიის დეკლარაციით):

1. კვალიფიკაციების აღიარება, წინა განათლებისა და პროფესიული გამოცდილების ჩათვლით, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს/აპლიკანტს ჩაირიცხოს ან ხელახლა ჩაირიცხოს უსდ-ში;

2. სტუდენტის მობილობასთან დაკავშირებული მოკლე სასწავლო პერიოდების აღიარება, რომლის მთავარი საშუალებაც ECTS-ია (კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა);
3. სრული აკადემიური ხარისხების აღიარება, რომლის მთავარი საშუალებაც დიპლომის დანართია.

კრედიტების აღიარება
პროცესი, რომლის დროსაც დაწესებულება ადასტურებს, რომ სხვა დაწესებულებაში მიღწეული და შეფასებული სწავლის შედეგები აკმაყოფილებს (ზოგიერთი ან ყველა) ცალკეული პროგრამის, მისი კომპონენტის ან კვალიფიკაციის მოთხოვნებს.

არაფორმალური განათლების აღიარება
პროცესი, რომლის დროსაც დაწესებულება ადასტურებს, რომ სხვა გარემოში (არაფორმალური განათლება) მიღწეული დაშეფასებული სწავლის შედეგები აკმაყოფილებს (ზოგიერთი ან ყველა) ცალკეული პროგრამის, მისი კომპონენტის ან კვალიფიკაციის მოთხოვნებს.

წინმსწრები განათლებისა და გამოცდილების აღიარება
დამტკიცების თხოვნით მიმართვამდე მიღებული არაფორმალური განათლების სწავლის შედეგების დამტკიცება (საბჭოს რეკომენდაცია 2012/C 398/01)

პროფესიული კვალიფიკაციების აღიარება
2005/36/EC ბრძანება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს განუსაზღვრავს წესებს რეგულირებად პროფესიებზე დაშვებისათვის სპეციფიკური პროფესიული კვალიფიკაციების ფლობის გათვალისწინებით. ბრძანების თანახმად, მასპინძელმა წევრმა სახელმწიფომ უნდა აღიაროს სხვა წევრ სახელმწიფოში მიღებული პროფესიული კვალიფიკაციები, რომლებიც ამ კვალიფიკაციის მფლობელ პირს ნებას აძლევს გაჰყვეს იმავე პროფესიას, რათა მას ჰქონდეს დაშვება ამ პროფესიაზე.
მასპინძელი წევრი სახელმწიფოს მიერ პროფესიული კვალიფიკაციის აღიარება ნებას აძლევს ბენეფიციარებს მოიპოვონ დაშვება ამ წევრ სახელმწიფოში იმავე პროფესიაზე, რაზეც მათ დაშვება აქვთ მშობლიურ წევრ სახელმწიფოში და იმუშავონ ამ წევრ სახელმწიფოში ისეთივე პირობებში, როგორც ეს მათ მშობლიურ სახელმწიფოშია (ბრძანება 2005/36/EC).

სტუდენტი
პირი, რომელიც ჩარიცხულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფორმალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე. შენიშვნა: საკითხი, თუ რომელი ტერმინი გამოყენებულიყო ამ გზამკვლევში - „სტუდენტი“ თუ „სწავლის მსურველი“ დეტალურად იქნა განხილული სამუშაო ჯგუფში დაინტერესებული მხარეებთან. უფრო მოქნილ სასწავლო პირობებზე გადასვლასთან დაკავშირებით, შეთანხმებულ იქნა, რომ უმეტეს კონტექსტში „სწავლის მსურველის“ გამოყენება აჯობებს. თუმცა, რადგან უმაღლესი სისტემების უმრავლესობა კვლავ ფორმალური პროგრამების ორგანიზებას ახდენს, ტერმინი „სტუდენტი“ გამოიყენება ყველა იმ პირის

აღსანიშნავად, ვინც უსდ-ში იღებს განათლებას (დასწრებული, დაუსწრებელი, დისტანციურ სწავლებაში მონაწილე, პრაქტიკის განმახორციელებელი, კვალიფიკაციის მაძიებელი, ცალკეულ სასწავლო კურსებზე ან კურსის ერთეულებზე დარეგისტრირებული პირი).

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება
საგანმანათლებლო მიდგომა, რომელსაც ახასიათებს სწავლების ინოვაციური მეთოდები, რომელიც მიზნად ისახავს მასწავლებლებისა და სტუდენტების კომუნიკაციის გზით სწავლებას და რომელიც სწავლების პროცესში სტუდენტს აქტიურ მონაწილედ იღებს, უვითარებს ტრანსფერულ უნარებს, როგორიცაა პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული და ღრმა აზროვნება (ESU, 2010).

ნიშნების ფურცელი
სწავლის პროცესში სტუდენტის პროგრესის განახლებული ჩანაწერი: არჩეული საგანმანათლებლო კომპონენტები, მოპოვებული ECTS კრედიტების რაოდენობა, მიღებული ნიშნები. ესაა მნიშვნელოვანი დოკუმენტი პროგრესის ჩაწერისა და სწავლის მიღწევების აღიარებისთვის, ისევე როგორც სტუდენტების მობილობისთვის. დაწესებულებების უმეტესობა ნიშნების ფურცელს მათი ინსტიტუციური მონაცემთა ბაზებიდან გასცემს.

კრედიტების ტრანსფერი
ერთ გარემოში (პროგრამა, დაწესებულება) მიღებული კრედიტების მეორე ფორმალურ გარემოში აღიარების პროცესი კვალიფიკაციის მოპოვების მიზნით. ერთი პროგრამის ფარგლებში სტუდენტისთვის მინიჭებული კრედიტები შესაძლოა გადატანილ იქნეს სხვა დაწესებულებაში ან დაგროვდეს იმავე ან სხვა დაწესებულების სხვა პროგრამაში. კრედიტების ტრანსფერი წარმატებული სასწავლო მობილობის აუცილებელი პირობაა. დაწესებულებებმა, ფაკულტეტებმა, დეპარტამენტებმა უნდა დადონ ხელშეკრულებები, რომლებიც უზრუნველყოფს კრედიტების ავტომატურ აღიარებასა და ტრანსფერს.

დადასტურება (ვალიდაცია)
სახელმწიფო ორგანოს მიერ იმის დადასტურება, რომ პირმა მიაღწია შესაბამისი სტანდარტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. ის შედგება ოთხი მნიშვნელოვანი ეტაპისგან:

1. პირის ცალკეული გამოცდილებების **იდენტიფიცირება** გასაუბრების გზით;
2. **დოკუმენტაცია,** რათა ხილული გახდეს პირის გამოცდილება;
3. ამ გამოცდილების ფორმალური **შეფასება;**
4. შეფასების შედეგების **სერტიფიცირება,** რაც საბოლოოდ ნაწილობრივი ან სრული კვალიფიკაციის მინიჭებით სრულდება.

ვირტუალური მობილობა
საერთაშორისო ელექტრონული სწავლება (როდესაც სტუდენტი ესწრება დისტანციური სწავლების კურსებს, რომელსაც ახორციელებს უცხოეთის უსდ).

ვირტუალური მობილობა სასარგებლოა ფიზიკური მობილობის წახალისების მიზნით. ვირტუალურ მობილობას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში (MAPPING MOBILITY PROJECT, 2015).

პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება

სწავლება, რომელსაც ახორციელებს უნივერსიტეტი, კოლეჯი ან სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაცია პრაქტიკის ბაზაზე, ჩვეულებრივ იმავე კომპანიის წარმომადგენლისა და ასევე (კომპანიის) გარედან მოსული პროფესიული მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ.

სასწავლო დატვირთვა

დროის ხანგრძლივობა, რომელიც ჩვეულებრივ სტუდენტს სჭირდება ყველა სასწავლო აქტივობის შესასრულებლად, როგორიცაა ლექციები, სემინარები, პროექტები, პრაქტიკული სამუშაო, პრაქტიკა, დამოუკიდებელი მუშაობა, რათა მიაღწიოს ფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. როგორც წესი, ეროვნული რეგულაციებით სრული დასწრებული სწავლების ერთი აკადემიური წლის დატვირთვა 60 კრედიტია. ხშირ შემთხვევაში სტუდენტთა დატვირთვა აკადემიური წლის განმავლობაში 1500-1800 საათს შეადგენს, რაც ნიშნავს, რომ 1 კრედიტი 25-30 სამუშაო საათს შეესაბამება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის ნორმალური სასწავლო დატვირთვა, ინდივიდუალურ პირთათვის სწავლის შედეგების მიღწევის რეალური დრო შეიძლება განსხვავებული იყოს.

პრაქტიკა

დაწესებულების გარეთ დაგეგმილი პერიოდი გამოცდილების მისაღებად (მაგ.: სამუშაო ადგილი), რომელიც ეხმარება სტუდენტებს ცალკეული უნარების, ცოდნისა თუ გაცნობიერების განვითარებაში და პროგრამის ნაწილს წარმოადგენს.

პრაქტიკის სერტიფიკატი

დოკუმენტი, რომელიც გაცემულია მიმღები ორგანიზაციის/საწარმოს მიერ, პრაქტიკის დასრულების შემდეგ. მას შეიძლება ერთვოდეს სხვა დოკუმენტებიც, როგორიცაა სარეკომენდაციო წერილები. ის მიზნად ისახავს გამჭვირვალობას და სტუდენტთა პრაქტიკის გამოცდილების ღირებულების წარმოჩენას.

დანართი 2

მაგალითები: ქულების კონვერტაცია

ქულების კონვერტაციის მაგალითები:[7]

1. ქულების კონვერტაცია ქულების განაწილების ორი ცხრილის საფუძველზე, შეფასების ორი სხვადასხვა ეროვნული სისტემის ორი რეფერენტული ჯგუფიდან:

რეფერენტული ჯგუფი A იტალიაში (გამსვლელი ქულა მერყეობს 18-დან 30-მდე cum laude)

რეფერენტული ჯგუფი/საგანმანათლებლო სფერო: ISCED-F კოდი 023 ენები

რეფერენტული ჯგუფი B საფრანგეთში (გამსვლელი ქულა მერყეობს 10-დან 20-მდე)

რეფერენტული ჯგუფი/საგანმანათლებლო სფერო: ISCED-F კოდი 023 ენები

პარიზის უნივერსიტეტი, საფრანგეთი

რომის უნივერსიტეტი, იტალია



ამ შემთხვევაში ქულების პროცენტული დიაპაზონი ერთმანეთს ფარავს. მასპინძელმა დაწესებულებამ წინასწარ უნდა გადაწყვიტოს, ერთმანეთის გადამფარავი დიაპაზონის რომელ - მინიმალურ, საშუალო თუ მაქსიმალურ - შედარებად ქულას იღებს. აქედან გამომდინარე, რომის უნივერსიტეტმა წინასწარ გადაწყვიტა, რომ ის გამოიყენებდა მინიმალურს, ან საშუალოს, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტის ქულა უნდა ყოფილიყო 27, ხოლო მაქსიმუმის გამოყენება რომ გადაეწყვიტა, მაშინ სტუდენტის ქულა იქნებოდა 28.

[7]გთხოვთ, მიმართოთ ECTS-ის სახელმძღვანელოს ვებ-გვერდს სხვა მაგალითების სანახავად.

2. ქულების კონვერტაცია ქულების განაწილების ორი ცხრილის საფუძველზე, შეფასების ორი სხვადასხვა ეროვნული სისტემის ორი რეფერენტული ჯგუფიდან:

დაწესებულება: FHVავსტრიაში[8] (გამსვლელი ქულა მერყეობს 1-დან 4-მდე)

რეფერენტული ჯგუფი/საგანმანათლებლო სფერო: ISCED-F კოდი 071ინჟინერია და საინჟინრო ვაჭრობა

დაწესებულება: გენტის უნივერსიტეტი ბელგიაში (გამსვლელი ქულა მერყეობს 10-დან 20-მდე)

რეფერენტული ჯგუფი/საგანმანათლებლო სფერო სფერო: ISCED-F კოდი 023 071ინჟინერია და საინჟინრო ვაჭრობა



წარმოდგენილ მაგალითში ავსტრიული დაწესებულების 2 ქულა (კარგი) გადაყვანილი იქნება ბელგიური უნივერსიტეტის 13 ქულაში. ბელგიური დაწესებულების 11 ქულა გადაყვანილი იქნება ავსტრიის 3 ქულაში (დამაკმაყოფილებელი). ამ შემთხვევაში ორივე დაწესებულებას გადაწყვეტილი აქვს პროცენტული მაჩვენებლების გადაფარვისას გამოიყენოს საშუალო მაჩვენებელი.

[8] ვორარლბერგის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი (Fachhochschule Vorarlberg - FHV)

დანართი 3

სარეკომენდაციო საკითხავი მასალა

ბოლონიის პროცესი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები

A Framework for Qualifications for the European Higher Education Area; Bologna Working Group on Qualifications Frameworks, published by the Ministry of Science, Technology and Innovation, Copenhagen, February 2005: http://www.ond.vlaanderen.be/hogeronderwijs/bologna/documents/050218_QF_EHEA.pdf

Bologna Conference, Using Learning Outcomes, Edinburgh, 1-2 July 2004: http://www.ehea.info/article-details.aspx?ArticleId=119

Bologna Framework and Certification (2008): http://www.ehea.info/Uploads/QF/Bologna_Framework_and_Certification_revised_29_02_08.pdf

Berlin Communiqué (Realising the European Higher Education Area. Communiqué of the Conference of Ministers responsible for Higher Education in Berlin on 19 September 2003): http://www.ehea.info/Uploads/ about/Berlin_Communique1.pdf

Bucharest Communiqué (Making the Most of Our Potential: Consolidating the European Higher Education Area, Communiqué of the Conference of Ministers responsible for Higher Education in Bucharest on 26-27 April 2012): http://www.ehea.info/Uploads/(1)/Bucharest%20Communique%202012(1).pdf

European Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area: http://www.ehea.info/news-details.aspx?ArticleId=355

European Approach for Quality Assurance of Joint Programmes: https://eqar.eu/projects/joint-programmes.html

Report by the Structural Reforms Working Group to the BFUG, Structural Reforms Working Group, Strasbourg, Brussels, Vatican City, Warsaw, 8 December 2014: http://www.ehea.info/Uploads/SubmitedFiles/12_2014/154923.pdf

ევროპის კავშირის ოფიციალური დოკუმენტები

Council Recommendation (2012/C 398/01) of 20 December 2012 on the validation of non-formal and informal learning: http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2012:398:0001:0005:EN:PDF

Communication from the Commission (COM 2001 678) of 21 November 2001: Making a European Area of Lifelong Learning a Reality: http://eur-lex. europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2001:0678:FIN:EN:PDF

Directive of the European Parliament and of the Council (2005/36/ EC) of 7 September 2005 on the recognition of professional qualifications: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/ PDF/?uri=CELEX:02005L0036-20140117&from=EN

Recommendation of the European Parliament and of the Council of 23 April 2008 on the establishment of the European Qualifications Framework for lifelong learning: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/ PDF/?uri=CELEX:32008H0506(01)&from=EN

Regulation of the European Parliament and of the Council (EU No 1288/2013) of 11 December 2013 establishing 'Erasmus+': the Union programme for education, training, youth and sport: http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/ LexUriServ.do?uri=OJ:L:2013:347:0050:0073:EN:PDF

ვებ-გვერდები და სასარგებლო ლინკები

ENIC-NARIC Network: http://www.enic-naric.net/

European University Association (EUA) occasional papers on Massive Open Online Courses (MOOCs): http://www.eua.be/Libraries/Publication/MOOCs_ Update_January_2014.sflb.ashx

Get to know ECVET better: Questions and Answers, Brussels, (2011): http://www.ecvet-team.eu/en/system/files/documents/14/questions-answers-about-ecvet-21/04/2010.pdf

Scottish Funding Council Glossary: http://www.sfc.ac.uk/housekeeping/glossary/glossary.aspx

The European Credit system for Vocational Education and Training (ECVET): http://ec.europa.eu/education/policy/vocational-policy/ecvet_en.htm

UNESCO (2014), ISCED: International Standard Classification of Education: http://www.uis.unesco.org/Education/Pages/international-standard-classification-of-education.aspx

ლიტერატურა

Bergan, S. (2007), Qualifications – Introduction to a concept (Council of Europe higher education series No.6): https://book.coe.int/eur/en/higher-education-and-research/3794-qualifications-introduction-to-a-concept-council-of-europe-higher-education-series-no6.html

Bergan, S.; Rauhvargers, A. (eds.) (2005), Standards for recognition: the Lisbon recognition convention and its subsidiary texts (Council of Europe higher education series No. 3): http://www.coe.int/t/dg4/highereducation/ resources/heseries_en.asp

Biggs, J. (2003), Aligning teaching for constructing learning. Higher Education Academy: https://www.heacademy.ac.uk/aligning-teaching -constructing-learning

Bingham (1999), Guide to Developing Learning Outcomes

Cedefop (2009), European guidelines for Validating Non-formal and Informal learning; Luxembourg: http://www.cedefop.europa.eu/EN/ Files/4054_en.pdf

Cedefop (2011), Using learning outcomes: European Qualifications Framework Series: Note 4: http://www.cedefop.europa.eu/EN/Files/Using_ learning_outcomes.pdf

Colucci, E.; Davies, H.; Korhonen, J.; Gaebel, M. (2012): Mobility: Closing the gap between policy and practice; European University Association, Brussels: http://www.maunimo.be/images/Oslo/eua%20maunimo_web.pdf

Euridyce (2012), Recognition of Prior Non-Formal and Informal Learning in Higher Education. Overview: http://eacea.ec.europa.eu/education/eurydice/ documents/focus-on/152.pdf

Ferencz, I.; Hauschildt, K.; Garam, (eds.) (2013), Mobility Windows: From Concept to Practice, Bonn: Lemmens Medien GmbH (ACA Papers on International Cooperation in Education): http://www.aca-secretariat.be/ fileadmin/aca_docs/images/members/ACA_2013_Mobility_windows.pdf

Gosling, D. and Moon, J. (2002), How to use learning outcomes and assessment criteria (Third Edition) London: (SEEC): http://www.aec-music. eu/userfiles/File/goslingmoon-learningoutcomesassessmentcriteria(2).pdf

Hunt, E. S.; Bergan, S. (eds.) (2010), Developing attitudes to recognition. Substantial differences in an age of globalisation (Strasbourg: Council of Europe Publishing. Council of Europe Higher Education Series No 13)

Lockhoff, J., Wegejis, B., Durkin, K., Wagenaar, R., González, J., Dalla Rosa, L., & Gobbi, M. (2011). *A guide to formulating degree programme profiles.Including programme competences and programme learning outcomes.*
University of Deusto: http://core-project.eu/documents/Tuning%20G%20Formulating%20Degree%20PR4.pdf

Moon, J. (2002), The Module and Programme Development Handbook, London: Kogan Page Limited: http://books.google.co.uk/ books?id=1uKQAgAAQBAJ&printsec=frontcover&source=gbs_ge_ summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false

Moon, J. (2004). Linking levels, learning outcomes and assessment criteria, Edinburgh: http://www.ehea.info/Uploads/Seminars/040701-02Linking_ Levels_plus_ass_crit-Moon.pdf

Moon, J. (2004). Some thoughts on learning outcomes – their roles and use in higher education in the UK; Presentation slides from the 'Using Learning Outcomes' Conference, Edinburgh: http://www.ehea.info/Uploads/ Seminars/04070102Moon.pdf

Vlăsceanu L., et al. (2004), Quality Assurance and Accreditation: A Glossary of Basic Terms and Definitions, Papers on Higher Education, UNESCO-CEPES: http://siteresources.worldbank.org/INTAFRREGTOPTEIA/Resources/ UNESCO_Glossary_of_QA_and_Accreditation.pdf

პროექტების შედეგები

Competences in Education and Recognition project (CoRe): http://www.core-project.eu/

EAR Manual – a European Area of Recognition project: http://www.eurorecognition.eu/emanual/

EMQT project (Erasmus Mobility Quality tools), co-funded by the EU Lifelong Learning Programme: https://lirias.kuleuven.be/handle/123456789/403903

European Grade Conversion System project (EGRACONS), co-funded by the EU Lifelong Learning Programme: http://egracons.eu/

European Recognition Manual for Higher Education Institutions: http://eurorecognition.eu/Manual/EAR%20HEI.pdf

Joint Degrees from A to Z project, co-funded by the EU Erasmus Mundus Programme: http://www.nuffic.nl/en/expertise/jdaz

Mapping University Mobility project (MAUNIMO): http://www.maunimo.eu/index.php/the-maunimo-project

Portal on joint programmes of the European Consortium for Accreditation in Higher Education (ECA), co-funded by the EU Erasmus Mundus Programme: http://ecahe.eu/w/index.php/Portal:Joint_programmes

Practical Guide to designing degree programmes with integrated transnational mobility – MOCCA project (Model for Core Curricula with Integrated Mobility Abroad), co-funded by the EU Socrates Programme.

Student-Centred Learning toolkit for students, staff and higher education institutions, Brussels, project of the European Students Union, co-funded by the EU Lifelong Learning Programme: http://www.esu-online.org/ resources/6068/Student-Centred-Learning-Toolkit/

Tuning Academy project: http://tuningacademy.org/

დანართი 4

მაგალითები: პროგრამის პროფილები

პროგრამის პროფილის მაგალითები და პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები აჩვენებს პროგრამის პროფილის და/ან ცალკეული სასწავლო კურსის ერთეულის აღწერის განსხვავებულ გზებს. ეს არ არის აუცილებელი მოდელი, რომელსაც უნდა მიჰყვეთ. ესაა კარგი გამოცდილების მაგალითები, რომელიც ეფუძნება ECTS გზამკვლევის რეკომენდაციებს.

კომპიუტერული ინჟინერიის პიველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა და სწავლის შედეგები სასწავლო კურსისთვის „ფიზიკა I"

საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი

კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა შექმნილია ჯანსაღი კულტურული საფუძვლის მქონე სტუდენტების მოსამზადებლად, რომელიც ეფუძნება ინჟინერიის სხვადასხვა სფეროს გამოცდილებასა და კომპიუტერული მეცნიერების საფუძვლიან ცოდნას. სასწავლო კურსები მიზნად ისახავს მონაწილეებს განუვითაროს უნარები, რომლებიც საჭიროა კომპიუტერული სისტემების, კომპიუტერული ქსელების, პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების, ინდუსტრიული ავტომატიზაციის სისტემების, მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების, ინტეგრირებული პროცესებისა და კონტროლის სისტემების შექმნისთვის, მონტაჟისა და მართვისათვის. კომპიუტერული ინჟინერიის კურსდამთავრებული ძირითადად არის ინჟინერი, რომელიც ასევე ინფორმაციული სისტემების კარგი მცოდნეა.

ძირითადი სწავლის შედეგები

კომპიუტერული ინჟინერიის პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ: კომპიუტერული სისტემების, კომპიუტერული ქსელების, პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების, ინდუსტრიული ავტომატიზაციის სისტემების, მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების, ინტეგრირებული პროცესებისა და კონტროლის სისტემების შექმნას, მონტაჟსა და მართვას.

კურსდამთავრებულთა დასაქმების პროფილი

პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მუშაობას საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანიებში, რომლებიც სპეციალიზებულია კომპიუტერის ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის წარმოებაში და ინდუსტრიული ავტომატიზაციის საწარმოებში, ასევე ნებისმიერი სახის საწარმოში, რომელიც იყენებს საინფორმაციო სისტემებსა და კომპიუტერულ ქსელებს შიდა წარმოებისა და მენეჯმენტის პროცესში. ისინი ასევე შეძლებენ შტატგარეშე ან დამოუკიდებელ კონტრაქტორებად მუშაობას სპეციფიკური აპლიკაციებისთვის ციფრული კონტროლის სისტემების შესაქმნელად. გარდა ამისა, პროგრამა პასუხობს სტუდენტები საჭირო მოთხოვნებს კომპიუტერული ინჟინერიისა და ავტომატიზაციის დარგში აკადემიური განვითარებისთვის.

ფიზიკა I

სწავლის შედეგები

სტუდენტი, რომელიც წარმატებით დაასრულებს აღნიშნულ კურსს შეძლებს დაეუფლოს ფიზიკის ძირითად კონცეფციებს, როგორც ნიუტონის მექანიკაში, ისე კლასიკურ ელექტრომაგნეტიზმში. ის შეძლებს ღრმა ცოდნის დემონსტრირებას კონსერვაციის კანონებისა და მაქსველის განტოლებების შესახებ, რომლის გამოყენებაც საშუალებას მისცემს მას გადაჭრას დინამიკის პრობლემები მექანიკურ სისტემებში და შეძლოს ელექტრომაგნეტიზმის პრობლემების კონფიგურაცია.

შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები

შეფასების მეთოდები

- დასკვნითი წერითი გამოცდა
- დასკვნითი ზეპირი გამოცდა

წერითი გამოცდა არის ზეპირ გამოცდაზე გასვლის წინაპირობა. წერითი გამოცდის ჩაბარების პირობაა 15 ქულა/30ქულიდან. მას შემდეგ, რაც წინაპირობა ჩაბარებული იქნება, ზეპირი გამოცდის ხვედრითი წილი საბოლოო გამოცდასთან მიმართებაში 70%-ია.

შეფასების კრიტერიუმები

სტუდენტი შეფასდება კურსის ძირითადი შინაარსის გაცნობიერების დემონსტრირებასა და მიღებული ცოდნის სპეციფიკურ შემთხვევებზე ადაპტირებაში პრობლემის გადაჭრის მიზნით. წერით გამოცდაზე (3 საათი, 2 პრობლემა) სტუდენტმა

უნდა გამოავლინოს ძირითადი კონცეფციების გამოყენების შესაძლებლობა და სწორი პასუხი გასცეს თითოეულ პრობლემასთან დაკავშირებით დასმულ სამ-სამ შეკითხვას. ზეპირ გამოცდაზე (1/2 საათი) სტუდენტმა უნდა გამოავლინოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და კრიტიკული მიდგომით სისრულეში მოიყვანოს კურსის ფარგლებში განხილული ფიზიკის უმნიშვნელოვანესი კანონები.

ისტორიის პირველი საფეხურის პროგრამის აღწერა და სწავლის შედეგები სასწავლო კურსისთვის „თანამედროვე ისტორია“

საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი

ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტის მომზადებას ისტორიული კვლევისთვის, დიდი ისტორიოგრაფიული თემებისა და დებატების ღრმა ცოდნის, ტრაქტატების მეთოდოლოგიების დაუფლებისა და წყაროების ინტერპრეტაციის წყალობით, ისტორიოგრაფიულ დისკურსში მკაფიო და ზუსტი ენის გამოყენებით. სასწავლო გამოცდილება ორგანიზებულია ლექციების, სემინარების, ვორკშოპებისა და ლაბორატორიული მუშაობის ციკლებით. ამ აქტივობების გარდა სტუდენტები შეძლებენ დაესწრონ კონფერენციებს, ვორკშოპებსა და შეხვედრებს, რათა კავშირი ჰქონდეთ სამეცნიერო დებატებთან ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. საგანმანათლებლო პროგრამას ოთხი მიმართულება აქვს: ძველი ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია, ახალი ისტორია და უახლესი ისტორია.

ძირითადი სწავლის შედეგები

ისტორიის პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ გამოავლინონ აწმყოსა და წარსულს შორის კავშირის კრიტიკული გაცნობიერება; ისტორიული კვლევის ძირითადი მეთოდების ცოდნა და გამოყენების უნარი; ისტორიოგრაფიულ პრობლემასთან დაკავშირებული შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის, ბიბლიოგრაფიისა და წყაროების იდენტიფიცირების უნარი; კვლევის შედეგების აუდიტორიასთან წარმოდგენის უნარი; სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ძირითადი საშუალებების ცოდნა და გამოყენების უნარი; ადამიანების ისტორიის ძირითადი მომენტების ღრმა ცოდნა; ისტორიის ერთ-ერთი პერიოდის (ძველი, შუა საუკუნეების, ახალი, უახლესი) საფუძვლიანი ცოდნა; იტალიურ ენასა და ევროკავშირის ერთ-ერთ ენაზე კომუნიკაციის უნარი; ძირითადი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპეტენცია; ისტორიოგრაფიული ტექსტების და მონაცემების მოპოვებისა და დამუშავების შესაძლებლობა.

კურსდამთავრებულთა დასაქმების პროფილი

ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურის დიპლომის მფლობელი შეძლებს განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში, სადაც ის პასუხისმგებელი იქნება ისტორიული კვლევის კოორდინირებასა და შესრულებაზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განსაკუთრებით, არქივებზე, ბიბლიოთეკებზე და მატერიალურ კულტურაზე; გამომცემლობაში, ჟურნალისტიკაში და სხვა სფეროში, სადაც საჭიროა ისტორიული კულტურა და მისი პოპულარიზაცია, მათ შორის საჯარო ადმინისტრირებისა და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობების სფეროში. კურსდათავრებულები შეძლებენ ისტორიისა და ლიტერატურის მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას. ისინი შეძლებენ კონკურენტუნარიანნი იყვნენ საჯარო სექტორში სწავლებასთან, არქივების, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების მართვასთან, საპარლამენტო დოკუმენტების, საინფორმაციო სერვისებთან დაკავშირებულ და დიპლომატიურ თანამდებობებზე.

თანამედროვე ისტორია

სწავლის შედეგები

სტუდენტი, რომელიც წარმატებით დაასრულებს კურსს, შეძლებს გამოავლინოს ევროპულ და მსოფლიო ისტორიაში გეოგრაფიული აღმოჩენებიდან ნაპოლეონის პერიოდამდე მომხდარი მოვლენებისა და პროცესების საფუძვლიანი ცოდნა.
კურსდამთავრებულს შეეძლება გამოავლინოს ახალი და სპეციფიური ცოდნა ესპანური იმპერიის, ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ატლანტიკის შესახებ, ასევე, ამ საკითხებთან დაკავშირებული ისტორიოგრაფიული პრობლემების ცოდნა. მას შეეძლება ამ პერიოდის ტექსტების წაკითხვა და ანალიზი.

შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები

შეფასების მეთოდები

- დასკვნითი ზეპირი გამოცდა
- პერიოდული წერითი ტესტები

სტუდენტები, რომლებიც ესწრებიან ლექციებს და მონაწილეობას იღებენ დისკუსიასა და დოკუმენტების ანალიზში, პერიოდულად დაწერენ ტესტებს, რომლებიც ჩვეულებრივ კურსის მასალასთან დაკავშირებული ესსეს ფორმის შეკითხვებისგან შედგება. ტესტები შეფასდება და შედეგები გათვალისწინებული იქნება დასკვნითი ზეპირი გამოცდის დროს. ვინც ვერ ესწრება ლექცია-სემინარებს, შეფასდება მხოლოდ დასკვნით ზეპირ გამოცდაზე.

შეფასების კრიტერიუმები

პერიოდული წერითი გამოცდების დრო მათთვის, ვინც ესწრება ლექცია-სემინარებს და მონაწილეობს დისკუსიებში. ზეპირი გამოცდა მიზნად ისახავს შეამოწმოს, შეუძლია თუ არა სტუდენტს კურსის მასალასთან დაკავშირებული ცოდნის გამოვლენა და შერჩეული საკითხების ირგვლივ კრიტიკული და დასაბუთებული დისკუსია.

ბიზნესის ადმინისტრირების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის ადმინისტრირება

პროგრამის საფეხური

პროფესიული ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საწარმოსა და დაწესებულების მენეჯერი

კვალიფიკაციის დონე

პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებული იღებს პროფესიული ბაკალავრის დიპლომსა და კვალიფიკაციას: „საწარმოსა და დაწესებულების მენეჯერი“, რომელიც შეესაბამება მე-5 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის დონეს, ლატვიის კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 საფეხურსა და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 საფეხურს.

მიღების პირობები

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება სკოლის ჩარიცხვის რეგულაციების შესაბამისად, რომელიც ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სენატის მიერ მტკიცდება.

წინა განათლების აღიარების სპეციალური პირობები

არაფორმალური განათლების აღიარებისთვის არსებობს სპეციალური ჩარჩო, რომელიც ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას. 2012 წ. 10 იანვარს მინისტრთა კაბინეტმა გამოსცა „წინა განათლების ან პროფესიული გამოცდილების

აღიარების პროცედურების წესები“, N 36. სკოლის მიერ შემუშავდა პროცედურული დოკუმენტები და დამტკიცდა სენატის მიერ. პროგრამები შემუშავდა იმგვარი სწავლის შედეგებით, რომელიც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და შესადარობას. ECTS გამოიყენება უწყვეტ განათლებაში. არაფორმალური განათლების აღიარების ძირითადი დებულებები ახსნილია 2012 წ. სენატის მიერ დამტკიცებულ წინა განათლების აღიარების პროცედურების წესებში. დოკუმენტი განმარტავს აღიარების პროცესსა და კრიტერიუმებს.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები და რეგულაციები

იმისათვის, რომ სტუდენტმა პროფესიული ბაკალავრის ხარისხი და კვალიფიკაცია მოიპოვოს, მან პროგრამის შემდეგი მოთხოვნებიუნდა შეასრულოს:

- დაეუფლოს კურსის ზოგად და სპეციფიკურ სწავლის შედეგებს
- დაეუფლოს არჩევითი კურსების სწავლის შედეგებს
- გაიაროს პრაქტიკა
- მოამზადოს და დაიცვას საბაკალავრო ნაშრომი

პროგრამის პროფილი

პროგრამა სტუდენტებს აძლევს ცოდნას, უნარებსა და შესაძლებლობებს, რათა ცვალებად სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში კომპეტენტური მენეჯერები გახდნენ. სტუდენტები სწავლობენ ცოდნის გამოყენებას მენეჯმენტის, პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მინიჭებული კვალიფიკაცია ადასტურებს, რომ კურსდამთავრებულებს შეუძლიათ განსაზღვრონ საწარმოს პრინციპები, დაგეგმონ და მართონ სამუშაო ბიზნესის მიზნებიდან გამომდინარე, იმუშავონ ხალხთან და მზად იყვნენ ცვალებად ბიზნეს-გარემოსთან ადაპტირებისთვის. აღნიშნული შესაბამისობაშია პროფესიული სტანდარტის „საწარმოსა და დაწესებულების მენეჯერის“ პროფესიული კვალიფიკაციების მე-5 საფეხურთან და შეესაბამება როგორც ლატვიის კვალიფიკაციების ჩარჩოს, ისე ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 საფეხურს. სტუდენტები იღებენ 240 ECTS კრედიტს (160 ლატვიური კრედიტი) საერთაშორისო სასწავლო გარემოში. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ Erasmus+ გაცვლითი პროგრამებით. მათ ასევე შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ პარტნიორი უნივერსიტეტების საერთაშორისო აკადემიურ პერსონალთან. სტაჟირების ორგანიზება და მართვა პროგრამის ნაწილია.

ძირითადი სწავლის შედეგები

პროგრამაში სტუდენტები მიიღებენ ეკონომიკური განვითარების მახასიათებლების და ეროვნული ეკონომიკის პროცესების გააზრებულ ცოდნას. ისინი ისწავლიან მათ ახსნას, მონაწილეობას მიიღებენ დისკუსიებში და მიიღებენ გადაწყვეტილებებს ცვალებადი გარემოებების შესაბამისად.

მათ შეეძლებათ მიღებული ცოდნა გამოიყენონ საწარმოს მენეჯმენტში ოპერაციული და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად. ისინი ისწავლიან განხორციელების პროცესის მართვას, გადწყვეტილებების მიღებას და მორგებას ოპერაციული და სტრატეგიული აქტივობების გასაუმჯობესებლად.
სტუდენტებს შეეძლებათ პროფესიული აქტივობის განხორციელება, ინფორმაციისა და პრობლემების ფორმულირება და ანალიზი, ასევე თავიანთ პროფესიაში პრობლემის გადაჭრის პოვნასამეცნიერო მიდგომების გამოყენებით.
გარდა ამისა, ისინი გაიაზრებენ, პროფესიული საქმიანობის დროს როგორ მოიქცნენ ეთიკურად და აიღონ პასუხისმგებლობა გარემოსა და საზოგადოებაზე.
დაბოლოს, სტუდენტები თავისუფლად შეძლებენ გუნდში პასუხისმგებლობის აღებას, დავალებების დელეგირებისა და კოორდინირების საშუალებით. ეს მოიცავს მათი სამუშაოს ეფექტურ დაგეგმვასა და ორგანიზებას და კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვას.

კურსდამთავრებულთა დასაქმების პროფილი და მაგალითები
კურსდამთავრებულები მუშაობენ კომპანიებსა და დაწესებულებებში (როგორც სახელმწიფო, ისე - კერძო). ისინი მუშაობენ მცირე და საშუალო სიდიდის კომპანიებში მენეჯერებად და დეპარტამენტების ხელმძღვანელებად.

დაშვება სწავლის შემდგომ საფეხურზე
პროფესიული ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები დაიშვებიან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად.

სამომხმარებლო ქცევა მსოფლიო ბაზარზე

სწავლის შედეგები

- სტუდენტს შეუძლია ახსნას და გამოიყენოს სამომხმარებლო ქცევასთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინები, განმარტებები და კონცეფციები.
- სტუდენტს შეუძლია გააანალიზოს სამომხმარებლო ქცევის ტენდენციები და გამოიყენოს ისინი მსოფლიო ბაზარზე.
- სტუდენტს შეუძლია აღწეროს ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე პროდუქტის შეძენ დროს.
- სტუდენტს შეუძლია შეაფასოს სხვადასხვა რეკლამისა და პრომო აქციის ეფექტურობა და გავლენა სამომხმარებლო ქცევაზე.

მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის „სპექტროსკოპია ქიმიაში“ აღწერა და სასწავლო კურსის „მასის სპექტროსკოპია“ სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი

სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების ექსპერტებად ჩამოყალიბებას და უვითარებს მათ ისეთ საერთაშორისო უნარებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სადოქტორო საფეხურზე სწავლისთვის და/ან პროფესიული ინდუსტრიული კარიერისთვის. მობილობის სქემა მაღალი დონის სპეციალიზაციასა და ტექნოლოგიების განვითარებაზე წვდომის საშუალებასთან ერთად უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართვას სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ძირითად კურიკულუმში ევროპის მასშტაბით.

სწავლის ძირითადი შედეგები

სტუდენტებს განუვითარდებათ ძირითადი უნარები შემდეგ სფეროებში:

- ქიმიური ანალიზი
- სტრუქტურული დახასიათება
- გამოსახულება და მოლეკულური მოდელირება
- სწრაფი რეაქციების დახასიათება
- ხარისხის კონტროლი
- მასალები

სტუდენტებს განუვითარდებათ დამატებითი უნარები შემდეგ სფეროებში:

- კვლევითი პროექტების განხორციელება
- გადაწყვეტილების მიღება მენეჯმენტის პროცესში
- უცხო ენები (სამეცნიერო პროექტის წარდგენა ინგლისურ ენაზე, წერილობით და ზეპირად)
- პროექტების განხორციელება საერთაშორისო და მულტიკულტურულ გარემოში
- გეოგრაფიული მობილობა

სასწავლო კურსი: მასის სპექტროსკოპია ქიმიაში

სასწავლო კურსის კოდი:ASC 01 - პირველი სასწავლო წელი, პირველი სემესტრი

პრერეკვიზიტი: ქიმიის ბაკალავრი ან მისი ექვივალენტური ხარისხი

კურსის აღწერა:

კურსი მოიცავს მოლეკულური მასის სპექტრომეტრიის ასპექტებს, მათ შორის უკანასკნელ გამოგონებებს, მასის სპექტრული პროცესების დიზაინს, ტექნიკას და გაგებას. წარმოდგენილია ანალიტიკური მაგალითების მეთოდები და განხილულია ამ მეთოდების უპირატესობები და ნაკლოვანებები. განხილულია მასის ანალიზის სხვადასხვა ხერხი და პრინციპი. აღწერილია მონაცემებთან დაკავშირებული ანალიზის თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები. წარმოდგენილია ქიმიის სხვადასხვა სფეროში მასის სპექტრომეტრიული ტექნიკის გამოყენების მაგალითები.

მიზნები:

სასწავლო კურსის მიზნებია:

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წრამოდგენილი თეორიის განვრცობა და გაღრმავება.
- სტუდენტების კომპეტენციის განვითარება მასის სპექტრომეტრიაში.
- მასის სპექტრომეტრიის ტექნიკაში თანამედროვე მიდგომებზე ფოკუსირება
- ცალკეული აპლიკაციებისთვის შესაბამისი საშუალებების იდენტიფიცირება.

სწავლის შედეგები

სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებს შეეძლებათ:

- მასის სპექტრომეტრიის მეთოდების შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა
- იონიზაციის მეთოდების იდენტიფიცირება და მათი უპირატესობები და ნაკლოვანებები
- მასის ანალიზის შესაძლო ტიპების კრიტიკული გააზრება
- მსჯელობა მასის სპექტრული მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის პროცესში პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით
- მიღებული მონაცემების აღსაწერად შესაბამისი საშუალებების იდენტიფიცირება
- მასის სპექტრული მონაცემების ინტერპრეტირება და დასკვნების წარმოდგენა წერილობითი და ზეპირი ფორმით

- არასპეციალისტებისთვის ახსნა, თუ როგორ შეიძლება მასის სპექტრომეტრიამ მოგვცეს ღირებული ინფორმაცია ქიმიის სხვადასხვა სფეროსა და მომიჯნავე დისციპლინებში

სწავლასა და სწავლებასთან დაკავშირებული აქტივობები

ლექციები და კოლოკვიუმები: 40 საათი
სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება: 90 საათი
სტუდენტის მთლიანი დატვირთვა: 130 საათი

შეფასების კრიტერიუმები:

გამოცდა სწავლების პერიოდის დასრულების შემდეგ, წერილობთი ან ზეპირი (100%)

ბიბლიოგრაფია:

მასის სპექტრომეტრია, პრინციპები და გამოყენება, ჰოფმანი, სტრუბანტი, ვილი, ჩიჩესტერი, 2001.

დანართი 5

მაგალითები: სწავლის შედეგები

სწავლის შედეგები მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მარკეტინგის ანალიზი“

სწავლის შედეგი 1: კომპეტენცია მარკეტინკის ანალიზში

1.1 კომპლექსური მარკეტინგული გადაწყვეტილების მოდელების განვითარება მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტის თეორიების საფუძველზე.
1.2 ყოველდღიურ პირობებში კომპანიაში მარკეტინგული გადაწყვეტილების სისტემების ინტეგრირება.
1.3 მონაცემთა მოპოვებისა და ინფორმატიკის გამოყენებით ბიზნესთან დაკავშირებული საკითხების დამოუკიდებელი და კრიტიკული ანალიზი.
1.4 ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხებზე მონაცემთა მოპოვების ტექნიკის კრეატიული გამოყენება.
1.5 ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხებზე მარკეტინგის კვლევის მეთოდების კრეატიული გამოყენება.

სწავლის შედეგი 2: კვლევითი კომპეტენციები

2.1 მონაცემთა მოპოვების ტექნიკისა სტატისტიკური ტექნიკის შერჩევა და ვალიდაცია კომლექსური მარკეტინგული პრობლემების მოდელირებისთვის.
2.2 კომპლექსური მარკეტინგული პრობლემების სამეცნიერო კვლევით საკითხად ჩამოყალიბება.
2.3 საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალების ლიტერატურის გამოყენენა კომპლექსური მარკეტინგული პრობლემების გადაწყვეტაში.
2.4 საკუთარი კვლევის შედეგების ვალიდაცია სამეცნიერო მარკეტინგულ ლიტერატურასთან.
2.5 კომპლექსური მონაცემების სტრუქტურის გამოყენება.

სწავლის შედეგი 3: ინტელექტუალური კომპეტენცია

3.1 სხვადასხვა პროგრამული ენისა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების, როგორც კომპლექსური მარკეტინგული გადაწყვეტილების მოდელების საშუალების დაუფლება.
3.2 საკუთარი მეთოდოლოგიური კომპეტენციების ინტერაქტიული გზით ზრდა.
3.3 კომპლექსური მარკეტინგული პრობლემების სწორი გადაჭრა დამოუკიდებლად.

3.4 სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების განსხვავებული შეხედულებების ინტეგრირება ერთიან მარკეტინგულ გადაწყვეტილებაში.

სწავლის შედეგი 4: თანამშრომლობისა და კომუნიკაციის კომპეტენცია

4.1 მარკეტინგის კვლევის შედეგების მეცნიერულად სწორად ჩამოყალიბება.
4.2 სხვადასხვა გამოცდილების მქონე პირთაგან შემდგარ საერთაშორისო და ინტერდისციპლინურ გუნდში რეალური ბიზნესის პროექტის განხორციელება.
4.3 კომპლექსური მარკეტინგული საკითხებისა და მათი გადაწყვეტის შესახებ წერილობითი პროფესიული მოხსენების წარმოდგენა.
4.4 კომპლექსური მარკეტინგული საკითხებისა და მათი გადაწყვეტის შესახებ ზეპირი პროფესიული მოხსენების წარმოდგენა.
4.5 სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია მარკეტინგულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ინგლისურ ენაზე.
4.6 მნიშვნელოვანი კონტრიბუციის შეტანა რეალურ ბიზნეს-პროექტში.

სწავლის შედეგი 5: სოციალური კომპეტენცია

5.1 მონაცემთა შეგროვებაში ახალი ვითარებების შედეგების ინტეგრირება.
5.2 გადაწყვეტილებების მოდელების მორგება ბიზნესის ამოცანებზე.